პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 53 (20394) — ხუთშაბათი, 2 მარტი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ს. გორბაჩოვისა და ა. ოკეტოს შეხვედრა

28 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს აკილე ოკეტოს. ეს იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის განვითარების გზაზე შემდგომი წინგადადგმული ნაბიჯი, რომლის შინაარსი და დინამიკა უკანასკნელი წლების მანძილზე ასახავს მათ ქვეყნებში, ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების სიახლეს.

მეტი წილი გაცხოველებული, ღრმაშინაარსიანი, იდეებისა და ჩანაფიქრების შეპირისპირებით გამსჭვალული საუბრისა, რომელმაც თითქმის ხუთ საათზე მეტ ხანს გასტანა, მიეძღვნა თანამედროვე ეტაპზე თითოეული პარტიის საქმიანობას.

მ. ს. გორბაჩოვმა ვრცლად გაანალიზა საბჭოთა საზოგადოების მდგომარეობა, რომელიც ახლა უკვე ის აღარ არის, 1985 წლის აპრილში რომ იყო, ახლა პარტია ეგებება ახალ აპრილის პლენუმს სრულიად უჩვეულო წინასაარჩევნო ვითარებაში, სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინ.

უნდა შევაჯამოთ ჩვენი ცოდნა იმის შესახებ, რაც უკვე შევიძინეთ გარდაქმნის დროს, რაც უკვე გვაქვს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, და შევეცადოთ დავაპროგნოზოთ საზოგადოების ახალი თვისება, რომლისკენაც მივდივართ და რომელმაც, საბოლოო ანგარიშით, უნდა გადაწყვიტოს ხელისუფლებისაგან, საკუთრების, წარმოების, კულტურისაგან ადამიანის გაუცხოების დაძლევის ისტორიული ამოცანა და ა. შ. მაგრამ ეს იქნება სოციალიზმი და არა სხვა რამ.

ამასთან დაკავშირებით სიტყვა ჩამოვარდა ლენინის მემკვიდრეობის ახლებური წაკითხვის, ლენინური მეთოდოლოგიის, ლენინური დიალექტიკის, ლენინური პოლიტიკური გამოცდილების ათვისების შესახებ, მაგრამ ეს რადი ნიშნავს წინანდელი ფორმების მიბაძვას, დაბრუნებას. ეს ციტატები კი არა, ლენინური გაკვეთილის ათვისებაა, რომელიც, სხვათა შორის, შეიცავს დამახინჯებებისაგან, დეფორმაციებისაგან სოციალიზმის შესახებ ჩვენს წარმოდგენათა განთავისუფლებასაც და თანამედროვე ცხოვრების რეალიებისა და 70 წლის განმავლობაში გაკეთებული ყოველივე პოზიტიურის ზუსტ გათვალისწინებასაც.

მ. ს. გორბაჩოვი დაწვრილებით შეეხო რადიკალურ-ეკონომიკური რეფორმისა და საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის რეფორმის რეალიზაციის, მოსახლეობის საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკულ ღონისძიებებს.

ა. ოკეტომ თავის მხრივ ვრცლად დაახასიათა ახალი კურსი, რომლის შეთავაზებასაც აპირებს თავისი ქვეყნისათვის იტალიის კომპარტია საზოგადოებაში, ევროპაში, მსოფლიოში მომხდარი ღრმა ცვლილებების გათვალისწინებით.

ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის პრინციპს, ყველა პროცესს, ინსტიტუტის, ორგანიზაციის ღრმა დემოკრატიზაციას, რაც სოციალიზმის ერთადერთი რეალისტური გზაა. ეს მთავარი ღირებულებაა.

თანამოსაუბრეებმა იმსჯელეს თანამედროვე პროგრესის კრიტერიუმებზე, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო თვალსაზრისით რევოლუციური განვითარების ახალ მეთოდებზე.

ერთმანეთს გაუზიარეს აზრები 1992 წლისთვის „ერთიანი ბაზრის“ შექმნის წინაშე ევროპის მუშათა მოძრაობის პრობლემების, ჰელსინკის პროცესში, „სრულიად ევროპის სახლის“ იდეის რეალიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის აუცილებელი მონაწილეობით მემარცხენე და სხვა პროგრესული ძალების როლის შესახებ. ითქვა, თუ როგორ ეკიდებიან დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიები ევროპის ინტეგრაციის პროცესებს, ეს ეხებათ მათი პოზიციის თავისებურებებს საერთაშორისო მასშტაბის ისეთი მოვლენისადმი, როგორიცაა გარდაქმნა სსრ კავშირში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკოლოგიურ სიტუაციას, ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობას ამ და სხვა დიდი თანამედროვე პრობლემების ინტერნაციონალიზაციის საჭიროების გათვალისწინებით.

განიხილეს აგრეთვე იტალიაში მ. ს. გორბაჩოვის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკითხები. დათქვეს იტალიის კომპარტიის მომავალ ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მიწვევასთან დაკავშირებული საკითხები.

მ. ს. გორბაჩოვმა დადებითად შეაფასა სახელმწიფო ხაზით სსრ კავშირისა და იტალიის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარება.

მ. ს. გორბაჩოვმა და ა. ოკეტომ დიდი კმაყოფილება გამოხატეს შეხვედრის მეგობრული ატმოსფეროს, ერთმანეთის პრობლემებისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და მათდამი მიდგომის, აზრთა გაზიარების მასშტაბურობის გამო. ხაზი გაუსვეს, რომ არ არის საკითხები, რომელთა განხილვა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და იტალიის კომუნისტურ პარტიას არ შეეძლოთ. ამ განხილვათა ხასიათი კი — ერთმანეთის დამოუკიდებლობის მკაცრი პატივისცემის პირობებში — ორივე პარტიას ეხმარება მათ პოლიტიკურ, თეორიულ მუშაობასა და საერთაშორისო საქმიანობაში.

მ. ს. გორბაჩოვმა სთხოვა ა. ოკეტოს საბჭოთა ხელმძღვანელობის, საბჭოთა ხალხის დიდი მადლიერება მოახსენოს ყველა იტალიელს, რომლებიც ასე გულწრფელად გამოეხმაურნენ სომხეთში მომხდარ უბედურებას, დახმარების, მხარდაჭერისა და თანაგრძნობისათვის. (საკდესი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

1 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა მიიღო თვალსაჩინო ავსტრიელი ბიზნესმენი, ფირმა „აბვ“-ის გენერალური დირექტორი და თანამფლობელი ლ. ბაუსბეკი.

ჯ. ი. პატიაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იზრდება რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების უშუალო კონტაქტები სახლვარგარეთულ პარტნიორებთან, კერძოდ, ფირმა „აბვ“-სთან, აღნიშნა, რომ საჭიროა ახლებურად წარვმართოთ მათთან ურთიერთობა, დავძლიოთ ფეხმოკიდებული სტერეოტიპები, ნდობით და არა ბიუროკრატიულად ვეკიდებოდეთ ერთმანეთს.

ლ. ბაუსბეკმა ილაპარაკა მისი ფირმის წვლილზე გუდაურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობაში, რომელსაც დიდი პოპულარობა აქვს მოხვეჭილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. იგი შეეხო საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ერთობლივი საწარმოს „მეტეხის“ შექმნას, რომელიც ძველ თბილისში ააშენებს 720-ადგილიან სასტუმროს და მობინადრეთა მისაღებად საექსპლოატაციოდ გადასცემს 1991 წელს. ქართველ პარტნიორებთან „აბვ“-ის თანამშრომლობის პერსპექტივებს შორის ლ. ბაუსბეკმა დაასახელა ერთობლივი ცემენტის ქარხნისა და სამშენებლო ტრესტის ნავარაუდევი ორგანიზაცია თბილისში.

საუბრის დროს განიხილეს რესპუბლიკის სპორტული ბაზების განვითარების საკითხები. კერძოდ, აღინიშნა, რომ „აბვ“ ფირმის მიერ ბაკურიანში გაწეული სამუშაოები მოწმობენ ამ უნიკალური მთის კურორტის და ზამთრის სახეობათა სპორტის ცენტრის დიდ მომავალს. მოსაუბრეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ძალებისა და სახსრების სათანადო კონცენტრაციის, აგრეთვე კულორტის განაშენიანებაში უცხოეთის ფირმების მოზიდვის პირობებში შეიქმნა რეალური შესაძლებლობანი საიმისოდ, რომ იგი გახდეს სამომოთხილამურეთა უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრების ცენტრიც. 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის ადგილად ბაკურიანის შესაძლო შერჩევის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, რომლის განხილვაც ახლა მიმდინარეობს, მიზანშეწონილად არის მიჩნეული „აბვ“ ფირმის აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკის სპორტული კომპლექსების, სასტუმროებისა და საცხოვრებელი სახლების შენებლობაში.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სოციალური მნიშვნელობის ღონისძიება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის საბაზრო ფონდის საქონლის წვრილბითუმად მიყიდვის წესის დაცვისადმი კონტროლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში გარკვეული შუამავლ მიმდინარეობს ბაზრისგარეშე მომმბარებლებისათვის საცალო სავაჭრო ქსელიდან უნაღდო ანგარიშსწორების წესით რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში არასასურსათო საქონლის სარეალიზაციოდ.

ამავე დროს, იმის შედეგად, რომ სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც სავაჭრო ქსელი აქვთ, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ჯეროვნად ვერ აფასებენ ამ საკითხზე მითითებათა ზუსტად შესრულების დიდ სოციალურ მნიშვნელობას, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის უნაღდო ანგარიშსწორებით საბაზრო ფონდის არასასურსათო საქონლის მიყიდვაში სერიოზული ნაკლოვანებანია.

ისეთი პირობებში, როცა გაუქმდა წვრილბითუმად საქონლის მიყიდვისადმი საბანკო დაწესებულებათა წინასწარი კონტროლი და ადგილებზეც არ ამოწმებენ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, სხვა უწყებებმა, რომელსაც სავაჭრო ქსელი აქვთ, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა ხელიდან გაუშვეს უნაღდო ანგარიშსწორებით საბაზრო ფონდის საქონლის რეალიზაციის პროცესზე ზემოქმედების მექანიზმი, რამაც განაპირობა სწორედ დადგენილი წესის დარღვევათა მრავალი ფაქტი.

ამის შედეგად გასული წლის აპრილ-ოქტომბრის შემოწმებებმა, რომლებიც 19 რაიონსა და ქალაქში მოაწყვეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლისა და სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის აგრომრეწვბანკისა და სსრ კავშირის მრეწველობბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკების ძალებმა, გამოვლინდა დადგენილი ლიმიტის გადამეტებით 2.274 ათასი მანეთი საერთო თანხის საბაზო ფონდის საქონლის, მათ შორის 898 ათასი მანეთის აკრძალული საქონლის რეალიზაციის ფაქტები.

რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში წვრილბითუმად საქონლის გაყიდვის კვარტალური ლიმიტის განსაზღვრას ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან მას არ იცავენ არც აბსოლუტური მოცულობით და არც სასაქონლო ნომენკლატურით.

ხშირად საბაზრო ფონდისათვის განკუთვნილ საქონელს დიდი რაოდენობით აძლევენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საჭიროებებისათვის. გამოვლინდა იმის ფაქტები, რომ საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში სწორად არ შეიქვთ წვრილი ბითუმის დადგენილი ლიმიტის გადამეტებით რეალიზებული საქონლის თანხები.

ფულის მიმოქცევის დაძაბული ვითარების დროს შეშფოთებას იწვევს სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მისწრაფება შეასრულონ საცალო საქონელბრუნვის გეგმა წვრილბითუმად საქონლის რეალიზაციის ხარჯზე, რაც თავის მხრივ წარმოშობს ნავაჭრის შემოსვლის გაუმართლებელ ჩამორჩენას საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებისაგან. მაგალითად, შარშან იანვარ-სექტემბერში ბანკის სალარაზეში დაკლებული ნავაჭრის თანხამ შეადგინა 309 მილიონი მანეთი, ამავე დროს საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას დააკლდა 251 მილიონი მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია ახალციხის (ამხ. ჯინჭველაძე), ბოლნისის (ამხ. ყულიევი), მცხეთის (ამხ. შიხაშვილი), მახარაძის (ამხ. ეფენტი), მარნეულის (ამხ. გრიგორიანი), სამტრედიის (ამხ. ფოცხვერაშვილი), ხაშურის (ამხ. დანელია) რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, საქართველოს სსრ კავშირის სამინისტროს, ცეკ-

(დასასრული მე-3 გვ.).

დიალოგი ნდობით აღჭურვილი პირებისა და გაზეთის კორესპონდენტის მონაწილეობით

დეპუტატობის კანდიდატები

საბოლოო სიტყვის მოლოდინში

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 661 გორის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა კასპის რაიონის ოკმის კომპლექსურ-მექანიზებული საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ნათელა კიბოს ასული ბუთხუზი და გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის კოლმეურნე ზოია ალექსის ასული პავლიაშვილი. გთავაზობთ საუბარს დეპუტატობის კანდიდატებთან.

კორესპონდენტი: გვახსოვს ყველას ახლო წარსულში საგულდაგულოდ დაშტამპული ჩვენი საარჩევნო კამპანია. სადმე ქუჩაში, თეატრალური თუ საკინკო აფიშების, ან სულაც ბინების გაცვლის თაობაზე სახელდახელოდ გამოკრული, განცხადებების გვერდით ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე პლაკატს მომავალი დეპუტატის ფოტოსურათით და მოკლე ბიოგრაფიული ცნობით. იგივე ბიოგრაფიულ მონაცემებს დეპუტატობის კანდიდატთან ამომრჩეველთა შეხვედრაზე რიხიანად წაიკითხავდა ხდობით აღჭურვილი პირი და წინასაარჩევნო კამპანიაც დამთავრებულად ითვლებოდა.

თემურ ვანიშვილი, გორის რაიონის ხელთუბნის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, ნდობით აღჭურვილი პირი: ახლა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მთავარი კი ჩემის აზრით, ისაა, რომ ადამიანებში გაიღვიძა პოლიტიკურმა ინიციატივამ, ინტერესმა. დღეს უკვე ადამიანებს აღარ სურთ ბრმად იწამონ რაიმე, ისინი მოითხოვენ იმის დამტკიცებასაც, რასაც ტრიბუნიდან ისმენენ. ახალი საარჩევნო კამპანია არავის სტოვებს გულგრილ ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებებისადმი. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ჩვენი კოლმეურნეობის საარქო დარბაზმა ვერ დაიტია (წინა წლებისაგან განსხვავებით) წინასაარჩევნო კრებაზე დასწრების ყველა მსურველი. ასე რომ, ახლანდელი მოწვევის დეპუტატობის მანდატს ვინც ჩაიბარებს, მან უნდა იცოდეს, რომ ხალხმა და მხოლოდ ხალხმა აირჩია და ეს ნდობა ხალხსვე უნდა დაუბრუნდეს ერთგული და უანგარო სამსახურით.

ნათელა ბუთხუზი, კასპის რაიონის ოკმის მექანიზებული საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, დეპუტატობის კანდიდატი: დეპუტატობის მანდატს თუკი მე მომცემენ, მხოლოდ ხალხის ინტერესებისათვის გამოვიყენებ, თუმცა ისიც მინდა ვთქვა, რომ მაშინაც კი, როცა დეპუტატის მანდატი არ მქონდა, (ერთხელ უკვე გახლდით უმაღლესი საბჭოს დეპუტატი) არც მაშინ დამიზოგავს ძალ-ღონე საერთო საქმის სასიკეთოდ, ჩვენი მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, მუშაობა-მოსამსახურეთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მერაბ შერმადინი, კასპის რაიონის ოკმის მექანიზებული საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, ნდობით აღჭურვილი პირი: ამიტომაც არაფის გაჰკვირვება, როცა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერის ნათელა ბუთხუზის კანდიდატურა დაასახელეს, ნათელა მეურნეობის № 2 სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელია. მან ჩვენს კოლექტივში აიდგა ფეხი, ჩვენს გვერდით ჩამოყალიბდა როგორც სპეციალისტი და მოქალაქე. დღეს იგი ინჟინერ-მექანიზატორია, მეურნეობის ფრად საპასუხისმგებლო უბანზე საქმიანობს, მექანიზატორთა ბრიგადის თავკაცია და საქმეც აღმა მიჰყავს.

მექანიზატორობა, მოგეხსენებათ, მძიმე, მამაკაცური საქმეა. ახლა წარმოიდგინეთ ქალი, მექანიზატორების წინამძღოლი. ამის მიუხედავად, ნათელა ბუთხუზის ბრიგადა მთელს მეურნეობაში მაღალნაყოფიერებით და მტკიცე დისციპლინით გამოირჩევა. თავად ბრიგადირი თანამოსაქმეთა ინტერესებისა და უფლებების თავგამოდებული დამცველია.

ბრიგადაში მიღწეულით დაუჭაყოფილებლობის ატმოსფერია გამეფებული. მექანიზატორები თვლიან, რომ ბრძოლა მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის არასდეს არ მთავრდება, რომ ბრიგადაში ამოუწურავი რეზერვებია იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა წლიდან წლამდე იზრდებოდეს.

ზოია პავლიაშვილი, გორის რაიონის ხელთუბნის კოლმეურნეობის კოლმეურნე, დეპუტატობის კანდიდატი: დიახ, გაუწყვეტლივ უნდა ვიზრუნოთ მოსავლიანობის ზრდისათვის, რომ ქვეყნის მოსახლეობა ჩვენივე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დავაკმაყოფილოთ. ამას წინათ გაზეთში წავიკითხე: არაფერი ისე არ შეურაცხყოფს სოციალიზმს, როგორც საბჭოთა ქალის მუდმივი სატრაქტორო ბრიგადის საქმიანობა უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით გამოირჩეოდეს, სარემონტო სამუშაოები სრულდებოდეს შემჭიდროებულ ვადებში და ხარისხიანად, და, რა თქმა უნდა, საჭიროა ზრუნვა გარდაქმნის ყოველმხრივ დაჩქარებისათვის, ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

ზოია პავლიაშვილი: და არა მარტო ეკონომიკას. ქვეყნის პოლიტიკურ რეფორმას, რომელიც ახლა ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობს, განა XIX პარტკონფერენციამ არ დაუდო სათავე? მე მას, შეიძლება რთქვას, ყველაზე ხელშესახებად ვგრძნობ, როცა ისეთი პოლიტიკური მოვლენების ცენტრში აღმოვჩნდი, როგორიც დეპუტატობის კანდიდატების დემოკრატიული წამოყენებაა.

კორესპონდენტი: როგორც იცით, ერთ-ერთი თქვენგანი დეპუტატის მანდატს ჩაიბარებს. საინტერესოა, დეპუტატობის რანგში პირველად რას მოიმოქმედებდით?

ნათელა ბუთხუზი: ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ უკვე იყო, არჩეული ვიყავი საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. დეპუტატის მანდატი გადმომცეს თუ არა, პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ვეწვივ მთელს რესპუბლიკაში ცხონებულ მეხლეტრგადირს, დეპუტატს, ახალგაზრდობის დამრიგებელს, სოციალისტური შრომის გმირს არსენ ღოლიჯაშვილს. რჩევა ვკითხე — დეპუტატობის ასპარეზზე როგორ ვიშრომო, როგორ ვისაქმო მეთქი.

— როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს, — მითხრა არსენ ღოლიჯაშვილმა, — გორის რაისაბჭოს აღმასკომში ოთახი გამომიყვეს საწერი მაგიდით, ტელეფონით, მშრომელთა მიღებისათვის განკუთვნილი „კაბინეტური“ მუშაობის ყველა ატრიბუტით. მე კი მშრომელთა მიღება იმ კაბინეტიდან ღია ცის ქვეშ, ჩემს ბრიგადაში გადმოვიტანე. შენც ამას გირჩევ, დღეიდან ხალხში იტრიალე, საკითხები რომელიც, ადამიანებს აღელვებს და აწუხებს, მათთან ერთად შეისწავლე და გადაწყვიტე და მაშინ ცხოვრება შენი ბრიგადის სტრატექტორო პარკიდან გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი გამოჩნდება, ვიდრე ყველაზე კეთილმოწყობილი კაბინეტიდან.

ზოია პავლიაშვილი: სიამოვნებით გისმენდით, რადგან არსენ ღოლიჯაშვილი და მე, გარეკანზე: ნათელა ბუთხუზი და ზოია პავლიაშვილი

გ. ბაღაშვილის ფოტო.

მ. ნემეტის სსრ კავშირში მომავალი ვიზიტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიკლოშ ნემეტი საბჭოთა კავშირს სამუშაო ვიზიტად ეწვევა ამა წლის 2-3 მარტს.



„ევრიკის“ სამხედრო ვარიანტი

● **პარიზი. როგორც პარიზის გაზეთი „მონდი“ წერს, საფრანგეთი ამუშავებს „ევრიკის“ სამხედრო ვარიანტის პროექტს.** საქმე ეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამხედრო ხასიათის სამეცნიერო ნამუშევრებსა და შესაბამისი ექსპერიმენტების მოწყობაში თანამშრომლობის მოგვარებას. ეს იდეა, წერს „მონდი“, საფრანგეთის მხარეს წარმოადგენა შეიარაღების ექსპერტთა განსახილველად პარიზში გამართული საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკების დროს. მოგვიანებით აპირებენ შესაბამისი წინადადებანი მისცენ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს.

დაწესდა კომენდანტის საათი

● **ქარაჰანი. ვენესუელის მთავრობამ შეიჩერა მთელი რიგი მოქალაქეობრივი უფლებების მიმართ კონსტიტუციის მოქმედება და დააწესა კომენდანტის საათი იმ მიზნით, რომ ბოლო მოუღოს უწესრიგობებს, რომლებიც ქვეყანაში გრძელდება უკანასკნელი ორი დღის მანძილზე.**

მღელვარება კარაკასში დაიწყო მას შემდეგ, რაც ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ განახორციელებენ ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც ითვალისწინებენ, კერძოდ, ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადიდებას, სურსათისა და სხვა საქონლის ფასების მომატებას.

სამხედროთა ულტიმატუმი

● **ხარტუმი. სუდანის შეიარაღებული ძალები აცხადებენ, რომ მათი 20 თებერვლის ულტიმატუმის დებულებანი, რომელიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრს სადიყ ელ-მაჰდის წარუდგინეს, უნდა შესრულდეს, ნათქვამია სუდანის არმიის უმაღლესი სარდლობის განცხადებაში.** როგორც ცნობილია, სამხედროთა ულტიმატუმში მთავარი იყო მოთხოვნები მთავრობის რეორგანიზაციისა და სამხრეთ სუდანის აჯანყებულებთან ექვსწლიანი ომის შეწყვეტის შესახებ.

ამ მოთხოვნებს შეუერთდნენ მთელი რიგი ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები, რომელთა წარმომადგენლები შეხვდნენ სადიყ-ელ-მაჰდის და მოუწოდეს შექმნას კაბინეტი ფართო პარტიულ და საზოგადოებრივ საფუძველზე.

დღეს ნომერშია:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ დრაფ

● „მაძიებლური გარჯის შედეგი“: წერილში ლაპარაკია თეთრი ზეაროს რაიონის მარადიდის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის გარჯის ავ-კარგზე. მე-2 გვ.

საკავშირო პრესის ფურცლებზე

● მუნდირის ღირსება: ისევ „წითელი სიცხე“. მე-3 გვ.

სასურსათო პროგრამა

● „ალპური ჩაი“. მე-4 გვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 88 წლისა უეცრად გარდაიცვალა თვალსაჩინო აფხაზი საბჭოთა მწერალი და ხალოგადო მოღვაწე, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, სკკპ წევრი

ალექსი ნესტორის ძე ჯონუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ერთი მეურნეობის მაგალითით, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, მკითხველი იოლად დარწმუნდება, რომ სოფელი მართლაც ღონიერია, თუ კაცი გონიერია. ამიტომ თეთრი წყაროს რაიონის მარაბდის მებოცვრეობის სახელოთა მეურნეობის კოლექტივის გარჯის ავ-კარგზე გესაუბრებით. იგი 1980 წელს შეიქმნა, მაგრამ ვერ იქცა და, წელში ვერ გაიმართა. აქაური მშრომელები ყოველ სამეურნეო წელს ზედიზედ ზარალით ამთავრებდნენ. იცვლებოდნენ დირექტორები, მდგომარეობა კი უცვლელი რჩებოდა... ამ რთულ ვითარებაში პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ დირექტორის პოსტზე რეკომენდაცია მისცეს ბოხდო პაპავს. იგი მანამდე რამდენიმე შრომითს კოლექტივს ხელმძღვანელობდა რაიონში და ყველგან გამოიჩინა თავი. მოპოვებული ავტორიტეტი მარაბდაში კიდევ უფრო განმტკიცა. მისი თავკაცობით მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა და მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ეკონომისტის ცნობა: **შარშან მეურნეობის წლიურმა ამონაგებმა საგეგმო 1.611 ათასის ნაცვლად 2.512 ათასი მანეთი შეადგინა. ასევე საგეგმო 60 ათასის ნაცვლად მიღებულია 1.147 ათასი მანეთის მოგება. აქედან 482 ათასი მანეთი წმინდა მოგებაა. რენტაბელურობა საგეგმო 4 პროცენტის ნაცვლად 60 პროცენტამდე გაიზარდა. ამჟამად ბანკში მეურნეობის ანგარიშზე ირიცხება 1.450 ათასი მანეთი. ყოველ ას ჰექტარ სავარგულზე შარშან აქ აწარმოვეს 50.900 მანეთის პროდუქცია, რაც წინა წელთან შედარებით 20.100 მანეთით მეტია.**

რით იქნა მიღწეული მოკლე დროში ასეთი მკვეთრი გარდატეხა?

—უწინარესად იმით,—გვითხრა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გურამ თოდუამ, — რომ მივმართეთ კოლექტიურ იჯარას. იგი მშრომელთა პირადი, მეურნეობისა და საზოგადოების ინტერესების შერწყმის ეფექტიანი ფორმაა. მან საშუალება მოგვცა არა მარტო გაგვეზარდა წარმოება და შეგვემცირებინა ხარჯები, არამედ უფრო ეფექტიანად გამოგვეყენებინა მატერიალური სტიმულებიც. ცხადია, სტიმულირება ადრეც ხდებოდა, მაგრამ არა გვქონდა სათანადო უკუგება. აკიღოთ, მაგალითად, მემინდვრეობა: მოიხნა ფართობი მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის დასათესად, ჩატარდა თესვა, კულტივაცია, გათოხნეს, შეიტანეს ჰერბიციდები, აიღეს მოსავალი. ყველაფერზე იწერებოდა განაწესი და, პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიუხედავად, თითოეული უკლებლივ იღებდა გასაშრჯელოს ცალკეული შესრულებული ოპერაციისათვის. გარანტირებული შრომის ანაზღაურება არ მოითხოვდა ადამიანებისაგან ინიციატივასა და ფხიზლობას. პრემიებიც აღარ წარმოადგენდა სტიმულირების საშუალებას და ხელფასის უბრალო დანამატად იქცა. ახლა კი ასე აღარ არის. გლეხკაცს შრომა საბოლოო შედეგის მიხედვით უფასდება. ამიტომ ისიც წლის მანძილზე ალიონიდან შებინდებამდე მკლავებდაკაპიწებული იღვწის. სწრაფად იმატა მოსავლიანობამ, შემოსავალმა და შრომის საზღაურმა.

რაიონის სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექციის ცნობა: 1988 წელს მეურნეობამ საგეგმო 290 ტონის ნაცვლად აწარმოვა და სახელმწიფოს მიჰყიდა 368 ტონა ხორცი, 984,2 ტონა მარცვლეული საგეგმო 933 ტონის ნაცვლად (ეს მაშინ, როცა 400 ჰექტარი მარცვლეულის ნათესიდან 72 ჰექტარი სეტყვამ მთლიანად გაანადგურა). საგეგმო 107 ტონის ნაცვლად აწარმოვეს 268 ტონა ბოსტნეული.

ასევე გადამეტებით შესრულდა საკვების დამზადების დავალება. თუმცა სტიქიამ ეს კულტურებიც დიდად დააზიანა, ადამიანებმა ბუნების ჭირვეულობას მონდომებული შრომა დაუპირისპირეს და მოსავლიანობა გაზარდეს იმ ფართობებზე, რომლებიც სეტყვასა და ქარიშხალს გადაურჩა.

— იჯარამ განამტკიცა შრომის და ტექნოლოგიური დისციპლინა,— თქვა მეურნეობის მთავარმა ეკონომისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ეკონომისტმა ვალერი ჩიქოვანმა. — ახლა მეურნეობის მშრომელები თავად აწესრიგებენ მუშაობის რიტმს, ეხმარებიან ერთმანეთს. ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც: დამოუკიდებლობამ, ნდობამ, პირადმა დაინტერესებამ აამაღლა შემოქმედებითი აქტიურობა, გააძლიერა პასუხისმგებლობისა და მომჭირნეობის გრძნობა. მაგალითად, ერთ-ერთ საწარმოო ბრიგადაში უარი განაცხადეს ახალი ტრაქტორის შეძენაზე — ხარჯი გაგვეზრდებაო. სამგიეროდ გულმოდგინედ შეაკეთეს ძველი ტრაქტორი და იოლად გადიან ფონს. წესრიგი დამყარდა სასუქის ხარჯვაშიც, თესვის ნორმებში, თესავენ მხოლოდ საუკეთესო ჯიშის მაღალხარისხოვან თესლს. ფერმაშიც მაღალპროდუქტიული ჯიშის ბოცვრები, ღორები და ძროხები ჰყავთ. აქ სულადობით კი არ არიან გატაცებული, არამედ უმთავრესად — პროდუქტიულობით.

— იჯარის სიკეთე ნათლად გამოვლინდა მებოცვრეობის კომპლექსის მაგალითით, — საუბარს გააგრძობს მეურნეობის მთავარი ბუღალტერი ვანო პეტრიაშვილი, — ოჯახ კომპლექსი იჯარაზე გადავდა, მეურნეობასთან დადო ხელშეკრულება, რომ აწარმოებდა 750 ცენტნერ დიეტურ ხორცს, პრაქტიკულად კი 777 ცენტნერი აწარმოვა, 1986 წელს კი, როცა ჩვეულებრივი მეთოდით მუშაობდნენ, აწარმოვეს 596 ცენტნერი. ამრიგად, ერთი და იგივე ულადობით, ერთსა და იმავე პირობებში, ნაკლები მუშახელით და შრომითი დანახარჯებით წარმოება გაიზარდა 281 ცენტნერით. იჯარაზე გადასვლის შემდეგ ერთ წელიწადში ერთნახევარჯერ გაზარდა აგრეთვე ღორების სულადობა და ხორცის წარმოება გია ჩომახაშვილის მეღორეობის ბრიგადამ.

— ეს შრომის შედეგებით ჩვენმა დაინტერესებამ გამოიწვია,— ამბობს ბრიგადირი. — თითოეული მომვლელის გამომუშავება შარშანწინ თვეში 158 მანეთი იყო. იჯარაზე გადასვლის შემდეგ 278 მანეთი გახდა. რაც მთავარია, შეკმენთან უკეთესი შედეგების მოპოვების ჩინებული პირობა. ამჟამად 1600 ღორი გვყავს, წელს მკვეთრად გაიზრდება სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვაც.

კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება — ყველა იჯარული კოლექტივი შრომაში გამარჯვებული გამოვიდა.

იჯარა გზას უხსნის ინიციატივასა და შემოქმედებას, იმისათვის განაწყობს ადამიანებს, რომ წარმოებაში დანერგონ მეცნიერების მიღწევები, აამოქმედონ რეზერვები, გვითხრეს მარაბდაში და ნათქვამი ფაქტებით დაადასტურეს.

მეცხოველეობის განვითარებას აფერხებდა საკვები ბაზის უქონლობა. მეურნეობის დირექტორი ბონდო პაპავა თავად დარწმუნდა ტრიტიკალეს მაგიურ ძალაში, როცა იგი სათავეში ედგა თეთრი წყაროს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას. მან ამ ძვირფას სამარცვლე და საკვებ კულტურას მარაბდაშიც მიუჩინა ღირსეული ადგილი. შარშან იგი 40 ჰექტარ ურწყავ ფართობზე ეთესათ. და თითოეულ ჰექტარზე 38 ცენტნერი მარცვალი გალეწეს და 60 ცენტნერი ნამჯა დაამზადეს. ასეთ მოსავალს ვერც ერთი სხვა თავთავიანი მარცვლეული ვერ იძლევა. შემდგომში, ფართობების სმაცირის გამო (მეურნეობა მცირემიწიანია, მისი სახნავი მხოლოდ 800 ჰექტარია), ნათესები არ გაზარდეს. სამაგიეროდ უკეთესი მოსავალი გვქონებაო, დარწმუნებით ამბობს დირექტორი. ტრიტიკალეს სიკეთის დასახასიათებლად მან ასეთი ცნობაც მოგვაწოდა: შარშან ცხვრის საკვები გაგვიჭირდა და გაზაფხულზე 4 ჰექტარი ტრეტიკალეს ნათესი ცხვარს მოვაძოვეთ. ზოგი გვირჩევდა გადაგვეხნა იგი, მაგრამ რისკზე წავედით, ნიადაგი გავაპოხიერეთ და სარეველების საწინააღმდეგო ღონისძიებებიც განვახორციელეთ. ნათესი ავ თვალს არ ენახებოდა, ჰექტარზე 36 ცენტნერი მარცვალი გავლეწეთ. ტრეტიკალე ძვირფასია მწვანე საკვებადაც. ერთ მარცვალზე რამდენიმე ძირი ვითარდება. სრულ სიმწიფეში მცენარის სიმაღლე 2 მეტრს აღემატება, გვალვაამტანია, ჰექტარზე 400-500 ცენტნერ მწვანე მასას გვაძლევს. ვისაც მეცხოველეობის განვითარების ინტერესი ამოძრავებს, ტრეტიკალეს ფართო გზა უნდა მისცესო, ამბობს დირექტორი. ამ ჭეშმარიტებაში რაიონის სხვა მეურნეობებშიაც დარწმუნდნენ. და ყოველწლიურად იზრდება ამ კულტურის ნათესი ფართობები...

ერთ დროს მეურნეობაში კაპიტალური საღორე ააგეს, რომელიც 500 ათას მანეთამდე დაჯდა, შემდეგ კი აღარ გამოუყენებიათ. უპატრონობით შენობა გაპარტახდა, კარ-ფანჯრებიც კი ჩამოხსნეს და დაიტაცეს. ახალმა დირექტორმა იგი გამოცდილი მეურნის თვალით შეათვალიერა. პროფესიით ინჟინერ-მექანიზატორმა, თავადვე შეადგინა შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტი, ორიგინალურად გადაწყვიტა მექანიზაციის საკითხი. მეზობელი საწარმოსაგან შეიძინა წლობით გამოუყენებელი 800 და 136 მილიმეტრის დიამეტრის მილები. პირველი გაჭრეს შუაზე და შესანიშნავი საკვებურები გამოვიდა, მეორე ალაგ-ალაგ ამოჭრეს და სარწყულებლად იყენებენ. ფერმაში შემოიყვანეს შვედური ჯიშის 70 დეკეული, მალე მათ კიდევ 50 დეკეული მიემატება. მიღებულია პირველი ხბოც. ფერმაში მონტაჟდება ელექტროსაწველი. მოწყობილობა. მომდინარეობს ფერმის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა ნაგებობების რეკონსტრუქციაც. აქ მოთავსდება სამმაბიარო და სახბორე განყოფილებები. ცალკე იქნება მწყემსმწველავთა დასასვენებელი ოთახები. მარაბდელთა მერძევეების ფერმა უკვე სანიმუშოა რაიონში. იგი წელიწადში 300 ტონა რძეს მისცემს სახელმწიფოს.

ბოცვრის დიეტური ხორცის წარმოების გადიდების რეზერვიც ადვილად გამოინახა. აქ უარი თქვეს ბიოკომბინატსა და ბაქტერიოფაგისათვის ორდღიანი ბაჭიების ჩაბარებაზე. საამისოდ მოსახლეობისაგან შესყიდულ ბაჭიებს იყენებენ, სამაგიეროდ ბაჭიების გამოზრდით მეურნეობაში იზრდება ხორცისა და ტყავ-ნედლეულის წარმოება.

მეურნეობაში მებაღეობის შემდგომი განვითარებისთვისაც ზრუნავენ. აღნიშნული იმითაც არის განპირობებული, რომ რაიონის ტერიტორიაზე ორი საკონსერვო ქარხანაა, რომლებსაც ხედლეული სჭირდებათ. წელსვე ინტენსიური ბაღები გაშენდება 10 ჰექტარზე. საამისოდ აქ პლანტაჟი უკვე მზად აქვთ. უპირატესობას ანიჭებენ ვაშლისა და ქლიავის ჯიშებს. ბაღებს აქ ხელოღებით კი არ აშენებენ, როგორც წინათ ხდებოდა, არამედ მეცნიერულ საფუძველზე. საამისოდ მეურნეობამ დახმარებისათვის მიმართა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილებას, რომელმაც მეურნეობის შეფობა ითავა. ინსტიტუტის განყოფილების გამგეს ბუდუ ვაშაკიძეს და სხვა მუშაკებს ახლა ხშირად შეხვდებით მარაბდელთა ბაღ-ვენახებში. ხეხილის და ბაღის გასხვლა, ნიადაგის დამუშავება თუ გაპოხიერება, მცენარეთა წამლობა მეცნიერთა რეკომენდაციებით მიმდინარეობს.

ეკონომისტის ცნობა: **მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის შედეგად 1988 წელს ცენტნერი ბოცვრის ხორცის წარმოება საგეგმოსთან შედარებით 167,2 მანეთით შემცირდა, ცენტნერი ღორის ხორცისა — 109,7, ცხვრისა— 12,85, მატყლისა — 26 მანეთით. ცენტნერი მარცვლეულის წარმოება გეგმასთან შედარებით 3,30 მანეთით, ბოსტნეულისა—3,67, კარტოფილის — 4 მანეთით ნაკლები უჯდებათ და ა. შ. არ არის არც ერთი სახეობის პროდუქცია, რომლის წარმოება გეგმასთან შედარებით გაიაფებული არ იყოს.**

მეურნეობაში კვლავაც ყველაფერი კეთდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების და პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშების მოშენება-გამრავლების, პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. მარაბდელთა სამოქმედო დევიზია: ნაკლები დანახარჯებით ვაწარმოოთ მეტი პროდუქცია.

მეურნეობა სიახლეთა დანერგვის ნამდვილი პოლიგონი გახდა. ახლა იგი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა, წარმატებით გადავიდა თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე.

მართვის მექანიზმის სრულყოფის სამუშაოები კვლავაც მიმდინარეობს. წლევანდლიდან იჯარა აქ სანარდო ურთიერთობით მეცვალეს. ახლა ამ მეთოდით მუშაობს ყველა ქვედანაყოფი.

ახალ პირობებში მუშაობისას პირველ რიგში შემცირდა სამმართველო აპარატი. 70 სპეციალისტიდან 29 უშუალოდ წარმოებაში გადავიდა, რამაც მეურნეობას 52 ათასი მანეთის წლიური ეკონომია მისცა. სამაგიეროდ მმართველობა უფრო მობილური, მოქნილი გახდა. პირველმა დატოვა კაბინეტი და მემცენარეობის სანარდო ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა მეურნეობის მთავარი აგრონომი გიორგი ფიჩხულაშვილი. მის სანარდო ჯგუფში ახლა 13 კაცია გაერთიანებული. ისინი ასრულებენ სამუშაოს, რომელსაც წინათ 31 კაცი სჭირდებოდა. უკვლიან 350 ჰექტარ მარცვლეულის ნათესს, 25 ჰექტარ ვენახს, 19 ჰექტარ ხეხილის ბაღს, 200 ჰექტარ მრავალწლიან ბალახებს. ჯგუფში აღარ სჭირდებათ ბრიგადირები. მათი შტატები გათავისუფლდა. ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ მემეცენაურეებმა აწარმოონ 143.700 მანეთის პროდუქცია. აქედან ხელფასის სახით მიიღებენ 74.800 მანეთს. როცა ყველა დანახარჯს გაიტუმრებენ, პრემიად ერგებათ 40 ათასი მანეთი. პროდუქციის ჩაბარებამდე ყოველთვიურად მიღებენ გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს, ხოლო პროდუქციის ჩაბარების შემდეგ მოხდება სრული ანგარიშსწორება. ხელშეკრულებაში ყველაფერი გულდასმით არის გათვალისწინებული: თუ მენარდეებმა თავიანთი მიზნებით საგეგმო პროდუქციის ჩაბარებას დააკლეს, დანაკლისს ბაზრის ფასით ანაზღაურებენ. სტიქიური უბედურების შემთხვევაში მიიღებენ დაზღვევას.

მებოცვრეობის ფერმის მენარდეთა ჯგუფს ახალგაზრდა სპეციალისტი ჯემალ მარქარაშვილი უდგას სათავეში. 13 კაცი ახლა იმდენ ბოცვერს უვლის, რამდენსაც სანარდო ურთიერთობამდე 27 კაცი უვლიდა. მათ უნდა აწარმოონ 526.400 მანეთის პროდუქცია. ნარდად გაიპიროვნეს მეცხვარეობის ბრიგადები გიორგი ხიზანიშვილმა და ვალერიან მენთეშაშვილმა, მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა მიხეილ იგიმოთვამ და სხვებმა. სარძეო-სასაქონლო ფერმა კი გოგრიჭიანების ოჯახმა აიღო ნარდად. აქ მუშაობენ ცოლ-ქმარი თინა და ოთარი, მათი შვილი ავთანდილი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ჯარიდან, ახლო ნათესავები თამარ და ელიზბარ ბერიშვილები. მათ მექანიზატორად ღვიძლი ნათესავი გიორგი იაშვილი მოიწვიეს. ბრიგადა ყველას თანაბრად აქვს განაწილებული, ყველა კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, რომლის შეხსენება არავის სჭირდება. ხოლო მათ შრომისმოყვარეობაში მაშინვე დარწმუნდებით, როგორც კი ფერმის ტერიტორიაზე ფეხს შედგამთ. აქ მკაცრად იცავენ სისუფთავეს, პირუტყვის მოვლის რეჟიმს. ფერმერებმა საქმე კარგად დაიწყეს და იმედია, ჩინებულადაც დააგვირგვინებენ.

ცნობა გულალტერიიდან: **მეურნეობის თითოეული მუშის საშუალო თვიური გამომუშავება 1986 წელს 160 მანეთი იყო, შარშან 296 მანეთამდე გაიზარდა. მოწინავენი თვეში 400-500 მანეთსაც იღებენ.**

იჯარამ და ნარდმა თავისი სიტყვა უკვე თქვა. ამიერიდან მეურნეობას აღარ უჭირს მუშახელი. უმჯობესდება სოფლის დემოგრაფიული სიტუაციაც. უკან ბრუნდებიან ის ოჯახები, რომლებმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ მიატოვეს იგი. მრავალი წლის შემდეგ პირველად გაჩაღდა ცეცხლი აარჩილ და გიორგი ხიზანიშვილების ჩამქრალ კერაზე, მათი სახლების სარკმელებიდან პირველად გამოკრთა შუქი. მეურნეობაში კვლავაც მოდის განცხადებები, კიდევ რამდენიმე ოჯახი ითხოვს უკან დაბრუნებას. მეურნეობის ხელმძღვანელები ზრუნავენ „ძველ“ ახალმოსახლეთა ოჯახების წევრების შრომით და საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის.

მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს აგრეთვე ზრუნვა სოციალური სფეროს განვითარებისათვის.

მეტი ყურადღება ექცევა სოფლების მარაბდისა და ქოთიშის კეთილმოწყობას. გაუმჯობესდა მისასვლელი გზები, სანიტარიული დგომარეობა. ახლახან მარაბდა მთლიანად დაკმაყოფილდა სასმელი წყლით. წყალსადენისათვის მეურნეობამ სოლიდური თანხები გაიღო. აქვე ააგეს ქართული პურის საცხობი. სოფლის ცენტრში დადგეს მისი სახელოვანი შვილის ირსენა ოძელაშვილის (მარაბდელის) ძეგლი. სოფლის შესასვლელში, გზის მარჯვნივ, ხარაჩოებშია ჩასმული 25 ორსართულიანი კოტეჯი, რომლებშიც მალე სვანეთიდან ჩამოსახლებული ამდენივე ოჯახი დაიდგმს ბინას. მშენებლობა მეურნეობის ხელმძღვანელები მზრუნველობით და დახმარებით არის გარემოსილი.

ისტორიული სოფელი მარაბდა და მისი მეზობელი ქოთიში ახლებურად მუშაობის პირობებში აღორძინდა, განახლდა, ფართოდ შლის მხრებს. წინ დიდი პერსპექტივებია, მაგრამ მეურნეობასა და სოფლებს პრობლემებიც საკმაოდ აქვთ.

სოფლებში მარაბდასა და ქოთიშში მხოლოდ დაწყებითი სკოლებია. 57 მარაბდელი მოსწავლე ყოველდღიურად დადის 12 კილომეტრით დაცილებულ კოდაში, ხოლო ქოთიშელები წინწყაროს საშუალო სკოლაში სწავლობენ. თავის დროზე მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი ამ სოფლებში საშუალო და რვაწლიანი სკოლების უქონლობაც იყო. ახლა კი, სვანთა ჩამოსახლებისა და წასული ოჯახების უკან დაბრუნების პირობებში, მოსწავლეთა რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება. დადგა დრო მარაბდაში გაიხსნას საშუალო, ხოლო ქოთიშში — რვაწლიანი სკოლები. ეს საკითხი რამდენიმე წელია დგას ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ყურად არავინ იღო. არადა, მისი გადაწყვეტა დაყოვნებას ვერ ითმენს.

მარაბდისა და ქოთიშის მოსახლეობა იზრდება. სოფლებში ბევრი სხვადასხვა დაწესებულებაც იდებს ბინას. დადგა დრო, შეიქმნას სასოფლო საბჭო, რომელიც ორივე სოფელს გააერთიანებს. იგი მეტს იზრუნებს სოფლების კეთილმოწყობისა და მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

მალე მარაბდაში გაჯის საწარმო ამოქმედდება. ამჟამად საწარმომდე გაჰყავთ ბუნებრივი გაზი. მარაბდელები სამართლიანად ითხოვენ, რომ აქედან გაზი სოფელშიც გაიყვანონ. თანხებს მეურნეობა გაიღებს, რომელსაც მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში 237 ათასი მანეთი აქვს, ხოლო სოციალური განვითარების ფონდში — 229 ათასი მანეთი. მაგრამ ჯერჯერობით იგი მკვდარი კაპიტალია, მეურნეობა დანიშნულებისამებრ მას ვერ იყენებს. მეურნეობას აგრეთვე აუცილებლად სჭირდება ავტობუსი სკოლებში მოსწავლეთა, ხოლო მინდვრად — მშრომელთა გადასაყვანად. მის განკარგულებაში მყოფი ავტობუსი სიძველის გამო თითქმის გამოსულია მწყობრიდან.

დიდია მარაბდელთა გულისტკივილი აგრეთვე ერთი გარემოების გამო. იგი გამოხატეს კიდევ შრომითი კოლექტივის კრებაზე, როცა ხმა აიღეს „ორნელისუფლებიანობის“ წინააღმდეგ. მეურნეობა ერთდროულად მებოცვრეობის რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებაშიც შედის და თეთრი წყაროს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაშიც. მებოცვრეობის საწარმოო გაერთიანებას ბოცვრის ხორცის წარმოებისა და ბაჭიების ჩაბარების გარდა სხვა არაფერი ადარდებს, არც დახმარებით იწუხებს თავს, წლის დასაწყისში არ გამოყოფენ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ფონდებს. მეურნეობის ხელმძღვანელები კი ვის არ აწუხებენ, თუნდაც უბრალო მექანიზმისათვის. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, თავის მხრივ, ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებითაა დაინტერესებული. ეს იწვევს გაუგებრობას, ნერვიულობას, არეულებს მუშაობას. შრომითი კოლექტივის საბჭომ საწარმოს (გაერთიანების) კანონის შესაბამისად სამართლიანად მოითხოვა, რომ მეურნეობას ერთი პატრონი ჰყავდეს. ამას პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა და აგროსამრეწველო გაერთიანებამაც დაუჭირეს მხარი, მაგრამ საქსახგრომრეწვის მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ნოდარ მეფარიშვილს წერილით მტკიცე უარი მიიღეს. ეს ხომ უძრაობის წლების სტერეოტიპებია, როცა საკითხს ერთპიროვნულად, ბიუროკრატიულად წყვეტდნენ.

მებოცვრეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელებისაგან მეურნეობა ელის აგრეთვე დახმარებას, რათა შესაძლებელი გახდეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მებოცვრეობის საწარმოთა გამოცდილების შესწავლა. ამ მხრივ მარაბდელები ბედის ანაბარად არიან მიტოვებული. მოწინავე მებოცვრეთა პრაქტიკული გამოცდილება კი მათ ჰაერივით სჭირდებათ, რათა დარგი მეცნიერულ საფუძველზე წარმართონ.

მარაბდელებთან დიდ ვალში არიან მშენებლებიც. მეტი ტემპია საჭირო სვანთა სახლების მშენებლობაზეც. საქაგრომშენის მარნეულის მექვსე ტრესტის 35-ე მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ გაჭიანურა მეურნეობის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა. ამჟამად აღნიშნული კოლონა გაუქმდა. მშენებლებმა აქაურობა სულ მიატოვეს. ბაგა-ბაღის მწყობრში ჩადგომის ვადები ჩაიშალა, არც ხარისხია დამაკმაყოფილებელი. მარნეულელ მშენებლებს სიტყვის გატეხვისა არ რცხვენიათ. არადა, ამ ბაგა-ბაღს სტიქიისაგან გადარჩენილ რამდენიმე სვანი დედაც ელოდება...

მარაბდის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობის გამოცდილება რაიონში ფართოდ ინერგება. უკანასკნელად ამ მიზნით პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ აქ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და წამყვანი სპეციალისტებისათვის მოაწყვეს თათბირ-სემინარი. გამოცდილების შესასწავლად მოდიან მეზობელი რაიონებიდანაც. ეს კი იმის შედეგიც არის, რომ მიწას მართლაც გონიერი პატრონი ჰყავს და სოფელიც ღონიერია.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის მებოცვრეობის კომპლექსის მომვლელი მ. ამურველაშვილი, მოიჯარე ჯ. მარქარაშვილი და მეურნეობის დირექტორი ბ. პაპავა.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტის“) ფოტო.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1 მარტს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პარტიულ სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით, პლენუმმა ჯ. ვ. მარგველიძე გაათავისუფლა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. მას მადლობა გადაუხადეს კომკავშირში ნაყოფიერი საქმიანობისათვის და გადასცეს რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ს. ი. გოგენავა, რომელიც რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობდა. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩეულია გ. რ. ბარამიძე, რომელიც კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. პალეკაევი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მეოთხემ. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე პ. პ. ჩხეიძე.

(საქინფორმი).

ითვისებენ ახალ ნაწარმს

თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისში“ წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. აქ ზრუნავენ ტექნიკისა და ასორტიმენტის განახლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სამეურნეო ანგარიშმა მშრომელებს სიკეთე მოუტანა, მათი საშუალო თვიური ხელფასი დაახლოებით 30 მანეთით გაიზარდა.

გაერთიანებაში შეიქმნა ახალი საქსოვი საამქრო, სადაც თანამედროვე იტალიური და იაპონური მანქანა-დანადგარები დამონტაჟდა. აქ უშვებენ განსაკუთრებით მოდურ პროდუქციას, ქალის ნახტიან კოლგოტკებსა და ბავშვის ბამბის წინდებს. როგორც ცნობილია, მათზე დიდი მოთხოვნილებაა და ამ ბოლო ხანს მისი დეფიციტიც გაჩნდა. გაერთიანების მუშაკები ცდილობენ აღმოფხვრან ყველა ნაკლი და არ გაუწბილონ მყიდველი.

წლეულს პირველ კვარტალში საწარმოში ორი სახეობის ახალ პროდუქციას აითვისებენ. რა თქმა უნდა, აქ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ რესპუბლიკის ყველა მცხოვრები კმაყოფილი იყოს მათი ნახელავით.

სურათებზე: თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ მოწინავე მქსოველი მაია ჯიჯუა; ახალი საამქროს ხედი.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტის“) ფოტო.

რადიკალური რეფორმა

ფირმა ფართო სარბიელზე გადის

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისა და ქართული საპრესტიჟო პროდუქციის საექსპორტო მიწოდების მოცულობათა სოლიდური ზრდისათვის თბილისის კონიაკის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ენისელი“. მის შემადგენლობაში, სურვილისამებრ, შევლენ ყურძნის პირველადი გადამუშავებისა და საკონიაკე სპირტის ქარხნები, სხვა მონათესავე საწარმოები. ფირმის მიზანია სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე ითანამშრომლოს დაინტერესებულ ქვეყნებთან. პირდაპირმა კავშირმა საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის საწარმოებთან ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, სპეციალიზაციის გაღრმავებას, წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერებისა და, რაც ალბათ ყველაზე მთავარია, მოგების მკვეთრ ზრდას.

ყველაფერი ეს, ცხადია, განხორციელდება ფირმის თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის პირობებში.

ახლადშექმნილ ორგანიზაციას საქმოდ დიდი უფლებები ენიჭება. მას შეუძლია საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია ცენტრალიზებულად დაწესებული ან მოლაპარაკების თანახმად დადგენილი ფასებით, შექმნას სავაჭრო ობიექტები როგორც ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, ასევე საზღვარგარეთ. იგი თავის წევლილს შეიტანს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა ფორმებში. განახორციელებს სარეკლამო ღონისძიებებს, თვითონვე გამოვა საერთაშორისო ბაზრობის, კონკურსების, ეროვნული და სპეციალიზებული გამოფენების მოწყობის ინიციატორად და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სხვათა მიერ განხორციელებულ ასეთსავე ღონისძიებებში.

არის თუ არა მზად ახლადშობილი ფირმა დიდ საერთაშორისო სარბიელზე გასვლისა და მრავალრიცხოვანი სავაჭრო ქსელის შექმნისათვის, დამოუკიდებელი მოქმედებისათვის?

არის. იგი ჩამოყალიბდა საკმაოდ მძლავრ ბაზაზე და სიტყვა „ახლადშობილი“ აქ პირობითად უნდა გავიგოთ. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ მის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა. ბრუნვის გადასახადისა და მოგების სახით საწარმო ყოველწლიურად იძლევა 160-165 მილიონ მანეთს, განუხრელად იცავს სახელშეკრულებო დისციპლინას, გეგმები სრულდება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, მარტო შარშან, აქ თითქმის 24 მილიონი მანეთის წმინდა მოგება მიიღეს. ქალაქ ბორის ძნელაძეში, ბაბილოს ბორის, ბაბილოს ბორის, ბაბილოს ბორის

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲡᲐᲙᲔᲠᲫᲝ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
1 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ გამგეობის, აგრეთვე წევრთა კაჭრობის გაერთიანება „საქᲬᲘᲜᲘᲡ“ (ამხ. ჭიჭინაძე) მუშაობა დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოებისა თ ვ ი ს წვრილებითუმად საბაზრო ფონდის საქონლის რეალიზაციისადმი კონტროლისათვის.

საქართველოს სსრ კაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სავაჭრო ფასული აქვთ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს აღმასკომებს დაევალათ სისტემატური კონტროლი გაუწიონ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის წვრილბითუმად სარეალიზაციო საბაზრო ფონდის საქონლის სწორ გამოყენებას, ამასთან მხედველობაში მიიღონ, რომ უთუოდ უნდა შეასრულონ საცალო საქონლბრუნვის საგეგმო დავალებანი, ძირითადად მოსახლეობისათვის ნაღდი ანგარიშსწორებით საქონლის მიყიდვის გზით; განაზორციელონ საქონლის ნისიად მიყიდვის წესების დარღვევის აღმოფხვრის, მოქალაქეთა მიერ ნისიად შეძენილი საქონლის გამო დავალიანების დროულად და მთლიანად გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. არ დაუშვან საქონლის ნისიად გაცემა თავდაპირველი შენატანის გარეშე; აკრძალონ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მითითებათა მიცემა იმის თაობაზე, რომ უნაღდო ანგარიშსწორებით მიჰყიდონ საბაზრო ფონდის ხე-ტყისა და საშენი მასალები საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებს.

სსრ კავშირის სახბანკის (მოწვეული), სსრ კავშირის აგრომრეწველბანკის, სსრ კავშირის მრეწველობანკის და სსრ კავშირის საბინაო-სოციალური ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკებს წინადადება ეძლევათ ერთი თვის ვადაში მოამზადონ და რესპუბლიკის ბანკების ყველა დაწესებულებას გადასცენ მითითებანი იმის შესახებ, რომ წინასწარი კონტროლი გაეწიოს დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოებისა და კოლმეურნეობებისათვის საბაზრო ფონდის საქონლის წვრილბითუმად მიყიდვას.

მინისტრთა საბჭომ მოსთხოვა საქართველოს სსრ კაჭრობის სამინისტროს (ამხ. ჯიჯეხიძე) ცეკავშირის გამგეობას (ამხ. კონცელიძე), აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს (ამხ. ჩიგოგიძე), ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს (ამხ. ანდრიაძე), ახალციხის (ამხ. ჯინჭველაძე), ბოლნისის (ამხ. ყულიევი), მცხეთის (ამხ. შიხაშვილი), მახარაძის (ამხ. ყიღეტი), მარნეულის (ამხ. გრიგორიანი), სამტრედიის (ამხ. ფოცხვერაშვილი), ხაშურის (ამხ. დანელია) რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, წიგნის კაჭრობის გაერთიანება „საქწიგნს“ (ამხ. ჭიჭინაძე) გაზიხილონ იმ სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს და გადაუხვიეს წვრილბითუმად საქონლის გაყიდვის დადგენილ წესს,ამასთან გაითვალისწინონ თანამდებობაზე მათი შემდგომი დატოვების მიზანშეწონილობა. ისინი ვალდებული არიან მიღებული ღონისძიებანი ერთი თვის ვადაში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

(ᲙᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის იანვრის შედეგები და მომდინარე წლის პირველი კვარტალის ამოცანები განიხილეს საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე.

კოლეგიის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი და კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. ლაბარტყა.

მშენებლობა კვლავ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. მართალია, ბოლო დროს დარგში შეინიშნება ზოგიერთი პოზიტიური ძვრა, კერძოდ, სოციალური მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრაში, მაგრამ საქმის ძირეული გაუმჯობესება, ეფექტიანობისა და ხარისხისაკენ რადიკალური შემობრუნება არ მომხდარა.

ამას მოწმობს კომპლექსის ხელმძღვანელობის მიერ კოლეგიის სხდომაზე მოყვანილი ციფრები და ფაქტები. დეტალურად გაანალიზეს „საქმრეწვსამოქალაქომშენის“ გაერთიანების საქმიანობა, რომელმაც იანვარში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 70,6 პროცენტით შეასრულა და აითვისა 20,4 მილიონი მანეთი, ანუ წლიური მოცულობის 4,7 პროცენტი.

გეგმის შესრულებაში ყველაზე მეტად ჩამორჩნენ თბილისქალაქმშენის“ გაერთიანება, აგრეთვე № 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12 ტრესტები, რომლებსაც შესაბამისად ხელმძღვანელობენ ი. ი. ქეგხიშვილი, დ. ვ. დგებუაძე, ი. ბ. ხალვაში, ე. ი. არშბა, გ. ბ. ბუჯიკიანი, ზ. გ. კაპანაძე, ს. ლ. გველესიანი, ს. ი. გოლოშვილი, დ. მ. ქუჩულორია.

არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრეს აგრეთვე წლის პირველი თვე „მშენინდუსტრიის“, „საშენმასალების“, „მექანიზაციის“, „ტრანსმშენის“ ტრესტებმა (მმართველები — ა. გ. კურცხალია, ქ. დ. ნარსია, ვ. ა. დოლიძე, ზ. ი. ხვედელიძე).

განსაკუთრებით შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა საბინაო მშენებლობის დარგში. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა იანვარში 71 პროცენტით შესრულდა. გეგმით გათვალისწინებული 27 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 14 ათასი. და ეს იმ მარადგაკეთის ფონზე, რომელიც შეიქმნა შორშანიის გამო, რომ საცხოვრებელი ფართობის დიდი ნაწილი არ გადაცემულა საექსპლოატაციოდ.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სამშენებლო მოედნებზე სამუშაოთა ორგანიზაციას. ისინი უაღრესად ნელა გადაიქცევიან სამონტაჟო სამუშაოებად, რაც თავის მხრივ ზრდის ხარჯებს.

აღინიშნა სამშენებლო ქვეგანყოფების ხელმძღვანელებისა და ადგილობრივი საბჭოების არასაკმარისი ურთიერთმოქმედება, რის გამოც მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა უზდებათ ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებს. ასეთი ტენდენცია არ შეესაბამება ახალი ეკონომიკური მექანიზმის პრინციპებს, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლას.

კოლეგიამ „საქმრეწვსამოქალაქომშენის“ გაერთიანების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ვითარების ნორმალიზაცია და სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების ამოქმედებისათვის გათვალისწინებული საგგმო დავალებების უთუო შესრულება. ამ მიზნით, კერძოდ, საჭიროდ ცნეს საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები მიამაგრონ ცალკეულ რეგიონებსა და უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს და დაავალონ მათ ოპერატიული ხელმძღვანელობისა და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ურთიერთმოქმედების ორგანიზაცია. (საქინფორმი)

ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას — საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწის, გამოჩენილი მარქსისტი პედაგოგის, ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების ორგანიზატორის, ვ. ი. ლენინის ცოლისა და თანამებრძოლის სახელი ბავშვობიდანვე არის ცნობილი ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. 27 თებერვალს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები კავშირების სახლის სვეტებთან დარბაზში შეიკრიბნენ საზეიმო საღამოზე, რომელიც მისი დაბადების 120 წლისთავს მიეძღვნა.

სცენას ამშვენებს ყვავილებით მორთული ნ. კ. კრუპსკაიას პორტრეტი.

ამ რუსი ქალის — მებრძოლისა და დაუცხრომელი მუშაკის — დიდი და სახელოვანი ცხოვრების შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. დ. შადრეკოვმა.

მან ხაზი გაუსვა ნადეჟდა კრუპსკაიას მეცნიერულ-პრაქტიკულ წვლილს სახალხო განათლების მართვის, მასში მშრომელთა ჩაბმის პრობლემის დამუშავებაში. დღეს განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს მისი იდეების მნიშვნელობა, მათი აქტუალურობა.

რაოდენ აქტუალურია დღეს, მაგალითად, მისი იდეები მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის, ეროვნული სკოლის შესახებ: „ინტერნაციონალური კულტურა შეიძლება მხოლოდ ეროვნული კულტურების სინთეზი გახდეს“. ძალზე მნიშვნელოვანია ნ. კ. კრუპსკაიას რეკომენდაციები დედა ენაზე დაწერილი სახელმძღვანელობის შესახებ, რომლებიც კულტურის უდიდეს მამოძრავებელს უნდა წარმოდგენდნენ და ასახავდნენ ამა თუ იმ ერის ყველა თავისებურებას.

სახეიმო სალამოზე გამოსულთა შორის იყო ნ. კ. კრუპსკაიას მდივანი ვ. ს. დრიძო.

საღამოში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ა. ს. კაპტო, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელები. (საკᲓᲔᲡᲘᲝ).

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲨᲝ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ

„ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ, მშენებლობა და გარემო“ ამ თემას მიეძღვნება საერთაშორისო ფორუმი, რომელიც ამა წლის 29 აპრილს გაიმართება კუორრტ გუდაურში. შეხვედრას აწყობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირების, საერთაშორისო ორგანიზაცია —მსოფლიოს არქიტექტორები, დიზაინერები, მგეგმავები ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის“, არქიტექტორთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბი (სკიი).

გათვალისწინებულია, რომ ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ სამასამდე საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტი, აგრეთვე სოციალისტური და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. გაიმართება დისკუსიები არქიტექტურის, დიზაინის, ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების დაგეგმვის აქტუალურ პრობლემებზე, მოეწყობა გამოფენები და აუქციონები. ამას გარდა, გაიმართება საერთაშორისო შეჯიბრებანი სამთო-სათხილამურო სპორტში, ცურვაში, ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ სახეობათა სპორტის მოყვარული არქიტექტორები.

გაიმართა გუდაურის შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე.

განიხილეს მომავალი ფორუმის მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე მისი მონაწილეებისათვის მუშაობისა და დასვენების საკმარო პირობების შექმნის, სპორტულ შეჯიბრებათა ორგანიზაციის საკითხები. (საᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲛᲘᲛᲝᲛᲪᲔᲕᲐᲨᲘ Ტ. Გ. ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 175 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ



1989 ᲬᲚᲘᲡ 2 მარტს მიმოქცევაში გამოდის 1 მანეთის ღირებულების სამახსოვრო მონეტა ტ. გ. შევჩენკოს — უკრაინელი პოეტის დაბადების 175 წლისთავთან დაკავშირებით.

მანეთიანი სამახსოვრო მონეტა მზადდება სპილენძ-ნიკელის თეთრი ფერის შენადნობისაგან და აქვს 31 მილიმეტრი დიამეტრი წრის ფორმა.

მონეტის შუბლისა და უკანასკნელის მხარეებს წრეწირზე გამოწნული კანტი აქვს.

მონეტის შუბლზე გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და წარწერილია „სსრკ“, „1 მანეთი“ და „1989“.

მონეტის უკანასკნელზე ტ. გ. შევჩენკოს რელიეფური გამოსახულებაა და მისგან მარცხნივ არის თარიღები „1814“, „1861“ და წარწერა „გარშემოწერილობით ტ. გ. შევჩენკო“, ქვემოთ კი პოეტის ფაქსიმილე.

მონეტის გვერდითს ზედაპირზე არის ორი ჩაღრმავებული წარწერა „ერთი მანეთი“, რომლებიც გამოყოფილია ორი წერტილით.

სამახსოვრო მონეტა ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 175 წლისთავთან დაკავშირებით მიმოქცევაში გამოდის 3 მილიონი ცალი ტირაჟით, მათ შორის 0,3 მილიონი ცალი გაუმჯობესებული ხარისხისა.

ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად ეს მონეტა საგალდებულოა მიიღონ სახელმწიფო, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყველა სახის ფულადი გადასახდელებისას, აგრეთვე სსრ კავშირის ბანკების დაწესებულებებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროთა საწარმოებმა მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩარიცხვისათვის ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მონეტის შუბლი და უკანასკანარი.

ᲙᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ

ᲚᲝᲯᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲖᲐᲠᲓᲔ...

ᲐᲒᲝᲜᲔ: თბილისში, ქალაქის გარეუბნის მაღლივ კორპუსში, ერთი ახირებული ოჯახი მეხუთე სართულზე ძროხას ინახავდაო. ახლო-მახლო მინდვრებში ნაძოვები, გასანსალებული პირუტყვი, თურმე, ყოველ საღამოს ათ ლიტრამდე რძეს აძლევდა პატრონს.

გამოუჩნდა მიმდევარი ქალაქში ამ უკეთილშობილეს ინიციატივას, თუ დღესაც მარტო ცდილობს ეს ოჯახი თავისი წვლილი შეიტანოს სასურსათო პროგრამის შესრულების საქმეში, ჩვენთვის ცნობილი არ არის, ის კი ვნახეთ, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული ორსერიანი სატელევიზიო მხატვრული სურათის — „მთვარემდე ორი ნაბიჯია“ — გმირებს გულწრფელად განუზრახავთ საკუთარი ძროხის რძე და რძის ნაწარმი ჰქონდეთ, და სახელმწიფო, ამით მაინც არ შეანუხონ...

ოდნავი ირონია გამოგვივიდა, მაგრამ სხვაგვარად ვერც ვიტყვით ფილმზე, რომელიც გასულ შაბათ საღამოს და კვირა დილას, ზედიზედ, მთელმა ქვეყანამ ნახა ცენტრალური ტელევიზიით, და, დარწმუნებული ვართ, სინანულის გრძნობა მოჰგვარა ქართული კინოს უამრავ თაყვანისმცემელს, ხოლო „ვაი-მეგობრებს“ მზამზარეული თემა მისცა ჩვენი ეროვნული კინოს ავტორიტეტის გასაკენწლად..

რაც არ უნდა მედავონ ფილმის ავტორები — ჩვენი სახელგათქმული, დიდად პატივცემული კინოდრამატურგი სულიკო ჟღენტი და ნიჭიერი კინორეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი, როგორ დამარწმუნებენ, თითქოს კინემატოგრაფში ყოველგვარი პირობითობა ბუნებრივი იყოს. მაგალითად, თითქოს, შეიძლებოდეს უცხოეთში მივლინებით მიმავალმა შვილებმა სახლკარი სოფლიდან სპეციალურად ჩამოყვანილ მამას მიანდონ, მან კი — ამ დარბაისელმა ქართველმა გლეხმა, გომური მოაწყოს ჩვენებური ვიწრო ბინის ლოჯიაში, იქ, სულ მალე, ძროხამ ხბო მოიგოს, შევყურებდეთ, როგორ დასეირნობს ხბო ოთახში, ხოლო ფური — ლოჯიის ღია ფანჯრიდან თავგადაყოფილი მშვერი პირუტყვი, სანყალობლად შეხეპოდეს კორპუსის წინ თავმოყრილ მოსეირე ხალხს...

იქნებ სცენარში დასაშვებიც იყოს ეს პირობითობა, თუ დამდგმელი რეჟისორი დაგვაჯერებს, ზედმინევნით შეასახამს ხორცს ყოველივეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად ხელში შეგვრჩა ხელოვნური, უხერხული სიტუაციები, რამაც თავაური როლების შემსრულებლები— ჩვენი უსაყვარლესი მსახიობები კარლო საკანდელიძე და ზურაბ ქაფიანიძე ჩვეული ფორმიდან ამოაგდო... ფილმში, თითქოს იუმორიც არის, სევდიანი სცენებიც, მიწის ნოსტალგიაც, მაგრამ, სამწუხაროდ — დამაჯერებლობა აკლია...

ახლა ისიც ვიკითხოთ, საიდან გაჩნდა ასე ერთობ მდარე ხარისხის კინონაწარმოები საკავშირო ეკრანზე? იგი სწორედ ცენტრალურმა ტელევიზიამ შეუკვეთა „ქართულ ფილმს“, ანუ ჩვენ შევთავაზეთ, „ზემოთ“ კი უარი არ თქვეს. ეს საერთოდ ასე ხდება: აქედან შეთავაზებულ სცენარებს იშვიათად თუ ინუნებს ცენტრალური ტელევიზია, პირიქით — გვიკვეთავს, გვაფინანსებს, ერთი სიტყვით, აბსოლუტურად გვანდობს მათს ბედ-იღბალს. ჩვენ კი, აქაოდა, ხელ-ფეხი გაგვეხსნაო, ზოგჯერ სუსტი ნაწარმოებებიც „გაგვეპარება“ ხოლმე საკავშირო ტელეეკრანზე.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ როგორმე უნდა მოაწერინოს, რომ საკავშირო შეკვეთაში არ მოხვდეს არც ერთი სუსტი სცენარი. ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის, აგრეთვე, გადაღებული მასალის ნაჭერ-ნაჭერ ჩვენებისას, წარმოდგენა ვიქონიოთ ფილმის საბოლოო სახეზე. დღეს, როდესაც ჩვენს ეროვნულ კინემატოგრაფს მართლაც რენესანსის ხანა უდგას, უფლება აღარა გვაქვს, მწვანე გზა მივცეთ მდარე პროდუქციას.

ხოლო ფილმს „მთვარემდე ორი ნაბიჯია“ აღარაფერი ემველება. იგი ზედიზედ ორჯერ აჩვენეს. თუ გამოანგარიშებას დავუჯერებთ, საკავშირო ტელეეკრანზე ფილმს ერთდროულად 60 მილიონი კაცი მაინც უყურებს...

ამას ჰქვია: „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს“.

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲛᲣᲜᲓᲘᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ

ᲘᲡᲔᲕ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲮᲔ“

„ᲡᲝᲕᲔᲢᲗᲐᲕᲐᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ“ 1989 წლის 9 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა „წითელი სიცხის“ პოსტსკრიპტუმი“. ამ რეპლიკაში ლაპარაკი იყო ამერიკული კინოკომპანიის „ქეროლკოს“ ფილმზე, რომლის გადაღებაშიც „ვიდეოფილმმა“ სამსახური გაუწია გადამღებ ჯგუფს.

ეს ფილმი ჯერ დუბლირებული არ არის და ჩვენს ქვეყანაში არ გავრცელებულა. ერთადერთ პირს თარგმანით, ექსპერიმენტის სახით უჩვენებენ სახელმწიფოები „წითელი პოლიციელი“ „არბატის“ ვიდეოსალონში. თბილისში ამ ფილმის „ორიგინალს“ ნახვა შეიძლება მხოლოდ „შავ ბაზარზე“ ნაყიდი კასეტით. ფილმის მოქმედი პირია ზედმეტსახელად როსტა (სხვათა შორის, ვიქტორ სერგეევიჩი), ტატრებში წერია Rostavili რომელსაც საერთო არა აქვს რა დიდ შოთა რუსთაველთან.

Ა. ᲒᲝᲬᲚᲘᲫᲘ,
ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲕᲘᲓᲔᲝᲤᲘᲚᲛᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲡ-ᲐᲢᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜ, მხატვრული ფილმის „წითელი სიცხის“ პროდიუსერები, ძალზე ნაწყენი ვართ, რომ დაურღვევიათ ჩვენი საავტორო უფლება, რომელიც იმით გამოიხატა, რომ ეს ფილმი „შავ ბაზარზე“ უჩვენებიათ. მით უმეტეს, რომ ამას ნეგატიური რეაქცია მოჰყოლია საქართველოში.

როგორც ცნობილია, ეს ფილმი, რომელიც ნაწილობრივ მოსკოვში გადაიღო რეჟისორმა უოლტერ ჰილმა და რომელშიც მთავარ როლს არნოლდ შვარცენეგერი ასრულებს, კარგად შეფასა პრესამ, წარმატებით გავიდა მთელ მსოფლიოში და ნათლად ასახავს ჩვენს დამოუკიდებლობას გარდაქმნისა და საჯაროობისადმი.

ჩვენ გაგვაკვირვა და გული გვატკინა მშვენიერი ქართველი ხალხის რეაქციამ, რომელიც მაყურებლისათვის „შავი ბაზრიდან“ ფილმის არაპროფესიულმა გადაცემამ გამოიწვია. სწორედ ამის ბრალია, რომ ჩვენი კომპანიის ზარახვეს მცდარად განმარტავენ. ბანდიტის სახელს არავითარი კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს დიდ ქართველ პოეტთან და ფილოსოფოსთან. ბანდიტის სახელი — ვიქტორი და გვარი — როსტაველი ჩიკაგოს პოლიციის დოსიიდან არის აღებული და არა იმ მიზნით, რომ შეურაცხყოფა მიგვეყენებინა ამერიკელი თუ სხვა ბოლოთა ქართველებისათვის.

დიდად მადლიანი დაგრჩებით, თუ გამოაქვეყნებთ ამ ტელეკსს, რაც ხელს შეუწყობდა შექმნილი ვითარების გამოსწორებას და ბოლოს მოუღებდა „შავ ბაზარზე“ ფილმის უკანონო გამოყენებას.

ᲔᲚᲓᲘ ᲕᲐᲘᲜᲝ,
„ᲥᲔᲠᲝᲚᲙᲝᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.

„ᲡᲝᲕᲔᲢᲗᲐᲕᲐᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ“. 1988 წ. 28 II.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲯᲐᲨᲘ

ᲡᲐᲙᲘᲓᲚᲘᲡ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
1 ᲛᲐᲠᲢᲘ

● ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

ᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. „ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲛᲝᲒᲝᲚᲣᲚᲐᲜᲗ ᲬᲣᲗᲔᲚᲛᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲘᲗ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲒᲐᲬᲣᲮᲣᲚᲘᲗ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲘᲣᲗᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

„ალპური ჩაი“

ანუ კვების არატრადიციული რესურსების და ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური სასმელის შესახებ



ალბათ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იშვიათად მსოფლიოს რომელიმე ხალხს ჰქონდეს ველური მცენარეების საკვებად გამოყენების ისეთი მაღალი კულტურა, როგორც ქართველებს. ეს მცენარეები საოცრად მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომელთა მცირე რაოდენობაც კი დიდ ფიზიოლოგიურ როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმში. მათი მეორე და არანაკლებ ძვირფასი თვისება გახლავთ ის, რომ ისინი პრაქტიკულად ეკოლოგიურად სუფთა საკვების წყაროა და არ შეიცავენ ნიტრატებს, პესტიციდებს თუ სხვა მზამზეულიკატებს.

მესამე უნიკალური თვისება კი ის არის, რომ მათ აქვთ არაჩვეულებრივი უნარი შებოჭონ და გამოდევნონ ჩვენს ორგანიზმში წარმოშობილი, თუ გარესამყაროდან დაბინძურებული ჰაერის, წყლის თუ საკვების საშუალებით მოხვედრილი ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც წამლავენ ადამიანს და ამოკლებენ მის წუთისოფელს.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია ვრცლად და დაწვრილებით ვესაუბროთ დაინტერესებულ კითხველს ველური მცენარეების მნიშვნელობაზე. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ აღნიშნულიც სრულიად ნათელს ხდის ბუნებრივი მცენარეული რესურსების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენების აუცილებლობას, რასაც ისიც ემატება, რომ მაღალი საკვები ღირებულების პარალელურად მათ აქვთ სამკურნალო თვისებებიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების ახალი პროდუქტების ლაბორატორია რამდენიმე წელია ინტენსიურად მუშაობს კვების ახალი რესურსების გამოვლენის, მათი ბიოლოგიური ღირსების შესწავლის და მაღალი საკვები ღირებულების მქონე პროდუქტების შექმნისა და წარმოების პრობლემებზე. ამ მხრივ უმთავრესია სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ჩაის სასმელების მიღება და ამ პროდუქტების სამრეწველო წარმოების საკითხი. მისი აქტუალობა განისაზღვრება არა მარტო ზემოაღნიშნულით, არამედ ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრად ამაღლების და ასორტიმენტის გაუმჯობესების საჭიროებით, რომლის მნიშვნელობა გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და საკავშირო პრობლემად იქცა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებისაგან ჩაის ტიპის მშრალი სასმელების წარმოებას და მოხმარებას. ასეთი პროდუქცია იმდენად პოპულარულია, რომ ბევრ ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა ინდიური თუ ცეილონის ჩაის რეალიზაცია, რადგან მოსახლეობა უკვე მასობრივად ეტანება ამგვარ სასმელებს. და ეს გასაგებიცაა — ადამიანი ცდილობს მისთვის მისაღწევი საშუალებებით, უნარნარესად კი ბუნებრივი საშუალებებით, თავი დაიცვას გარემოს გლობალური დაბინძურების, მძალებული ქიმიური ნივთიერებებისაგან, რაც ყოველი მხრიდან უტევს მას.

ჩვენი სამშობლო, მართლაც რომ, უნიკალურია, სადაც გულუხვ ბუნებას მრავალი სასარგებლო მცენარე შეუქმნია, რომელთა შორის ბევრი ენდემურიც არის. ამ უკანასკნელს განკუთვნება დეკა, რომელსაც ბოტანიკის ენაზე კავკასიური როდოდენდრონი ჰქვია.

დეკა კავკასიონის მთების კალთებზე, ზღვის დონიდან 2 ათას მეტრზე და უფრო მაღლაც, მასობრივად არის გავრცელებული. საქართველოში იგი 120 ათას ჰექტარზე ხარობს. ეს მეტად ლამაზი, 1-1,5 მეტრის სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია, რომელიც ივნის-ივლისში ულამაზესი თეთრი ყვავილებით იფარება და გარემოს უნაზეს სურნელებას აფრქვევს. იგი უმაღლესი ხარისხის თაფლს იძლევა, ამასთანავე მეტად ძვირფასი და მრავალმხრივი სამკურნალო, ეთერ-ზეთოვანი, დეკორატიული, საკვები თვისებები აქვს და მისი ნაყენი ძალზე გმირეული არის. ყოველივე ეს სიკეთე ამ მცენარის უნიკალური ქიმიური შემადგენლობით განისაზღვრება. ჩვენთვის სიინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ნედლეული დიდი რაოდენობით შეიცავს კატეხინებს, ფლავონოლებს, ტანინებს P და C ვიტამინებს, რითაც ერთობ ახლოა დგას ჩაის ქიმიურ შემადგენლობასთან. თუმცა მისგან განსხვავებით მდიდარია აგრეთვე გულის გლუკოზიდებით, ალკალოიდებით და ა. შ. რაც განაპირობებს მის სამკურნალო ეფექტს. დადგენილია, რომ დეკას ფოთლის ნაყენი ადიდებს გულის ტონუსს, მის ამპლიტუდას და ამცირებს გულის კუნთის შეკუმშვის სიხშირეს. ამავე დროს იგი არ ცვლის სისხლის წნევას და, რაც ერთობ საყურადღებოა, შესამჩნევად აღიდებს დიურეზს. დადგენით თვისებათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ნაყენი სწრაფმოქმედია და არ აქვს კუმულატორული თვისებები.

კლინიკური დაკვირვებებით დამტკიცებულია, რომ როდოდენდრონისაგან მიღებული პრეპარატების ხმარებისას აღინიშნება გულის მუშაობის მოწესრიგება, შეუპებათა მოხსნა, ვენოზური წნევის დაწევა, სისხლის მიმოქცევის გაძლიერება და შარდის გამოყოფის მომატება. აღმოჩნდა, რომ მათი წყალხსნარები გამოირჩევა ბაქტერიოციდული მოქმედებით ისეთი პათოგენური მიკროფლორის მიმართ, როგორიცაა ნაწლავის ჩხირები, დიზენტერიის, მუცლის ტიფის გამომწვევი ბაქტერიები, სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები.

ხალხურ მედიცინაში დეკას ფოთლების ნაყენი გამოიყენება ოფლის მოსადენად, ციებ-ცხელების, ეპილეფსიის, ეროზიის, ბრონქიალური ასთმის, ღრძილების დაავადების, სტომატიტების, თავის ტკივილის, უძილობის, გაღიზიანების, გულის, თირკმელების დაავადების წინააღმდეგ. იგი საკმაოდ ეფექტიანია ადგილთვე რევმატიზმის, ნეკრესის ქარების, დიზენტერიის, მწვავე და ქრონიკული კოლიტის, ასევე კუჭ-ნაწლავის სისტემის სხვა დაავადებათა მიმართ. ეს მცენარეები აძეღავნებენ გამოსახულ მატონიზებელ მოქმედებას, რაც ძველთაგანვე იყო ცნობილი. მაგალითად, მონადირეები მთაში ფიზიკურ ენერგიას ამ მცენარეთა ნაყენის დახმარებით აღიდგენდნენ ხოლმე.

ყოველივე ზემოთქმულმა გვაფიქრებინა ხელი მოგვეკიდა აღნიშნული არატრადიციული ნედლეულისაგან სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე მწვანე და შავი ჩაის ტიპის სასმელის წარმოების სამრეწველო ტექნოლოგიის დამუშავებებისათვის. წლების განმავლობაში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა ლაბორატორიულმა გამოკვლევამ დაადასტურა დეკას, როგორც ჩაის ნედლეულის, მაღალი კვებითი, ბიოლოგიური და საგამოვნო თვისებები.

ყოველივეგარი გადაჭარბების გარეშე უნდა განვაცხადოთ, რომ როგორც ამ ნედლეულისაგან მიღებული ჩაის წმინდა სასმელების, ისე მწვანე და შავი ბაიხის ჩაისთან კუპაჟირებული პროდუქციის სამომხმარებლო ხარისხი და სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები ერთობ მაღალ შეფასების იმსახურებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი აზრით, დეკასაგან მიღებული ჩაი თავისი თვისებების წყალობით მალე დაიმსახურებს მასობრივი მომხმარებლის მოწონებას, ამ ახალ საკვებ პროდუქტს წინ არ აღუდგება კონსერვატიზმის ფსიქოლოგიური ბარიერები, რაც ხშირად ხდება ხოლმე, როდესაც საქმე გვაქვს კვების ახალი პროდუქტის რეალიზაციასთან.

ჩვენი ეს აზრი რომ უფრო სარწმუნო იყოს, გვსურს აღვნიშნოთ ზოგიერთი მისი თვისება.

ჩაისთან შედარებით, რომლის ხარისხს ძირითადად კატეხინლეიკოანტოციანიდინ-ფლავონოლის კომპლექსი განაპირობებს, დეკაში ეს ნივთიერებები საგრძნობლად მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამიტომაც არის რომ ამ ახალ პროდუქტში P ვიტამინის რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე — ამაგრებს სისხლის კაპილარებს, ხელს უწყობს გულისა და ტვინის სისხლით მომარაგებას.

„ალპური ჩაი“, როგორც ამ ახალი სახეობის სასმელს დავარქვით, სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას. ისე როგორც სხვა ალპური მცენარეებისაგან მიღებულ პროდუქტებს, მას აქვს სასიამოვნო, ერთობ ნაზი და ნატიფი არომატი, გამჭირვალე, მოყვითალო-მოყავისფრო-მოწითალო ფერის ნაყენი, რომელიც უმაღლესი ხარისხის ჩაისთვის არის დამახასიათებელი. მკაფიოდაა გამოსახული ტანინებით მდიდარი ნაყენის გემო და მისი მთრთოლავი თვისებები. ამ მაჩვენებლითაც ეს პროდუქტი ტიპურ ჩაის სასმელს განეკუთვნება. განსხვავება მხოლოდ ორ რამეშია: ერთი, რომ „ალპური ჩაი“ არ მეცავს ჩაის შემადგენლობაში მყოფ კოფეინს, რაც არცთუ ისე სასარგებლოა ადამიანისათვის, ბავშვებისათვის კი ერთობ მიუღებელი. მეორე განსხვავება ასევე „ალპური ჩაის“ სასარგებლოდ მიუთითებს: იგი თავისუფალია ნიტრატებისაგან, ოსაც ვერ ვიტყვით ტრადიციული ჩაისა ნაყენის, რომელი ხარისხიც არ უნდა იყოს იგი. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: „ალპური ჩაის“ ნაყენის ხარისხი, მისი ფერი, არომატული და საგემოვნო თვისებები დროთა განმავლობაში ამ ნაყენის დაყენების შემდეგ კიდევ უფრო უმჯობესდება, რაც არ ითქმის ჩვეულებრივი ჩაის მისამართით, რომელიც, როგორც ცნობილია, მალე კარგავს საწყის თვისებებს და მოითხოვს ნაყენის განახლებას. ჩვენ გამოვიკვლიეთ დეკას ანტისეპტიკური და ბაქტერიოციდული თვისებები. მისი ნაყენი დიდხანს (რამდენიმე კვირის განმავლობაში) არ ფუჭდება და მის ზედაპირზე არ ვითარდება ობის სოკოები, რაც ჩაის ნაყენს უჩნდება ხოლმე.

აღნიშნულ ნედლეულთან კომპლექსში ჩვენს მიერ გამოყენებულია ველური თუ კულტურული ფლორის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც კიდევ უფრო ზრდიან მზა ნაწარმის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს, ამაღლებენ მის ბიოლოგიურ ღირებულებას და სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს. მაგალითად, ასკილის, შვინდის, კომშის, მაჟალოს, პანტის, სტაფილოს, მანდარინის, ლიმონის ქერქის და სხვა ნედლეულის გამოყენებით შესაძლებელია გავზარდოთ ჩაის სასმელების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის რესურსები, რაც საშუალებას მოგვცემს ასეთი ტიპის სასარგებლო პროდუქციას მივანიჭოთ ჭეშმარიტად მასობრივი ხასიათი და უკეთ დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილები მაღალი ბიოლოგიური ღირსების საკვებ პროდუქტებზე.

ამჟამად ლაბორატორიაში მიმდინარეობს სინტეზესო მუშაობა, რაც ითვალისწინებს ისეთი ჩაის სასმელების შექმნას, რომელთა შემადგენლობაში შევა სხვადასხვა სამკურნალო ბიოაქტიური ნივთიერებები მდიდარი მცენარეები, და ამ ტიპის ცალკეულ სასმელებს ექნებათ სრულიად გარკვეული მოქმედება და დანიშნულება. მაგალითად, გულის, ღვიძლის, თირკმელების ნორმალური ფუნქციონირების ხელშემწყობი ჩაის სასმელი, ან კიდევ დიაბეტის, მაღალი წნევის საწინააღმდეგო ჩაი და ა. შ. ერთი სიტყვით ჩვენი მთავარი მიზანია ველური თუ კულტურული მცენარეებისაგან და მათი ნაყოფისაგან შეიქმნას ისეთი ჩაის ტიპის სასმელები, რომელთაც ერთდროულად ექნებათ როგორც საკვები, ისე სამკურნალო-პროფილაქტიკური მნიშვნელობა. ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობენ ბიოლოგები, მედიკოსები და კვების ტექნოლოგები.

დეკას, როგორც სასარგებლო მცენარის მიმართ ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ იგი სარეველა და ამცირებს ცხვრის საკვებ ბაზას, ხოლო მეორენი კი აღნიშნავენ ჰუმუსის წარმომქმნელ, ზვავ და ნიადაგდამცველ ფუნქციას. ჩვენ ვთვლით, რომ მეორე მოსაზრება ჭეშმარიტებას და თანამედროვე სიტუაციას უფრო შეესაბამება და ამიტომაც ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ დეკას დასაცავად. „ალპური ჩაის“ ნედლეულის დამზადებისას მკაცრად უნდა დავიცვათ დეკიანების ექსპლოატაციის მონაცვლეობის პრინციპი და ძირითადად მიზანშეწონილია მოვიპოვოთ მხოლოდ მეორე და მესამე წლის ფოთლები.

ნედლეულის ახალი რესურსების ათვისება, მათი სამრეწველო გადამუშავება, სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე ჩაის წარმოება მრავალმხრივ სარგებლობას მისცემს ჩვენს ხალხს. ჯერ ერთი, სამუშაოს და, შესაბამისად, შემოსავალს მოუტანს მთლიანი რეგიონის მოსახლეობას. მეორეც, მომხმარებელი მიიღებს მაღალი ბიოლოგიური ღირსების სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე გემრიელ კვების ახალ პროდუქტს. და ბოლოს, „ალპური ჩაის“ წარმოება რენტაბელური და ეკონომიკურად ეფექტიანია.

მაგრამ ამასთან ერთად არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ისიც, თუ როგორ არღვევენ დადგენილ წესებსა და კანონებს ცალკეული კოოპერატივები. აი, ახლაც, მოჭკონ თუ არა ყური ჩვენი ლაბორატორიის მიერ მიღებულ დადებითს შედეგებს კოოპერატივმა „ფესვები“, მოსახლეობისათვის სარეალიზაციოდ წალენჯიხის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების ჯვრის ჩაის ფაბრიკაში პარტიზანულად დაამზადა რამდენიმე ტონა დეკას ჩაი.

ისმება კითხვა: როგორ მოხდა, რომ სახელმწიფო საწარმომ ოფიციალური იურიდიული დოკუმენტის — ტექნიკური დოკუმენტაციის — გარეშე სარეალიზაციოდ გამოუშვა ახალი და არატრადიციული ნედლეულისაგან დამზადებული საკვები პროდუქცია?

რატომ უგულებელყო ამ საწარმომ ხელმძღვანელობამ ყველასათვის სავალდებულო კანონი, რომლის თანახმად ახალი და არატრადიციული ნედლეულისაგან საკვები პროდუქციის კომერციული მასშტაბით გამოშვებისათვის საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო ორგანოების სპეციალური ნებართვა? ხომ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ ნედლეულში იყოს, ან მისი გადამუშავების პროცესში აღმოჩნდეს ტოქსიკურ ნაერთთა დაუშვებელი რაოდენობა?

და, ბოლოს, იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელობა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ამ ახალი პროდუქციის წარმოების პრაქტიკულ რეალიზაციას.

თენგიზ ცინცაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების ახალი პროდუქტების დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელი.

რედაქციისაგან: ეს სტატია დაბეჭდვამდე გავაცანით რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებს და ვთხოვეთ მათ თავიანთი აზრი გამოთქვათ მასში აღნიშნული საკითხების თაობაზე. აი, რას გვწერს აღნიშნული კომიტეტის სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და ჩაის გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ამხანაგი ლევნი ხარებავა:

ამხანაგ გ. ცინცაძის სტატია ეხება კვების პროდუქტების წარმოების მეტად აქტუალურ საკითხებს. არატრადიციული ნედლეულისაგან ჩაის ტიპის სასმელების წარმოება და მოხმარება ამჟამად მეტად პოპულარულია მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით მოწინავე, განვითარებულ ქვეყნებში.

ქართველ ხალხს აქვს ჩაის ტიპის სასმელების გამოყენების დიდი ტრადიცია. ამის მაგალითია ფიფბურთის ფედერაციის თასზე ვილნიუსის „უალგირისისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი? ამ კითხვას დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა უკვე გასცა პასუხი პრესის ფურცლებზე: „უალგირისის“ ძირითადი შემადგენლობა ამჟამად მარეოკოშია და იქ ემზადება ჩემპიონატისთვის. ვილნიუსელებმა შემოგვთავაზეს გვეთამაშა იქაური სპორტინტერნატის გუნდთან. რა თქმა უნდა ეს ხელს არ გვაძლევდა არც სპორტული და არც ფინანსური თვალსაზრისით. ამიტომ უარი ვთქვით ვილნიუსში გამგზავრებაზე. თუ ფედერაციის თასის პრესტიჟის ამაღლებაზეა ლაპარაკი, მაშინ კალენდარი ისე უნდა შევადგინოთ, რომ ყველა გუნდისთვის ხელსაყრელი იყოს“.

სხვათა შორის, ამ ტურნირს სახელი შეუცვალეს და ახლა ფიფბურთის კავშირის თასის გათამაშებად მოიხსენიება. მაგრამ, ეტყობა, სახელის შეცვლით საქმეს არ ეშველება. ტურნირი ეს-ეს არის დაიწყო და უკვე არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა. აი, რას წერს ხაკდისის მიმომხილველი ა. პესოვი: „ახლა, როცა ბევრი კლუბი სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, შემოთავაზებული კალენდრით საეჭვოა ფეხბურთის კავშირის თასის გათამაშებამ გაამართლოს. ავიღოთ თუნდაც „დ“ ჯგუფის მაგალითი, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“, „უალგირისი“ და მინსკის „დინამო“ თამაშობენ თბილისის „დინამოსთან“ და „პამირთან“. ამ დროს, ვილნიუსიდან დუშანბემდე თვითმფრინავით მგზავრობა 70 მანეთამდე ჯდება, თბილისამდე ცოტა ნაკლები. ამას დაუმატეთ სასტუმროს და ჭამისმის ხარჯები. გამოდის, რომ ეს ორი გასვლა ვილნიუსელებს 10 ათასი მანეთი დაუჯდებათ... განა არ ჯობდა, ჯგუფები ტერიტორიული პრინციპით შეედგინათ და ტურნირისათვის უფრო მოსახერხებელი დრო შეეტრიალა?

რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა!

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.



ბაკურიანი. ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

გაზაფხულიც გვეწვია

მარტი ზამთრიდან გაზაფხულისაკენ გარდამავალი თვეა და ამიტომაც ამინდის თვისებურებით ხასიათდება. ამ პერიოდში ჩრდილო ნახევარსფეროში მზის სიმაღლე ჰორიზონტზე მნიშვნელოვნად იმატებს, იზრდება დღის ხანგრძლივობა, იმატებს მზის პირდაპირი რადიაცია დედამიწაზე, რასაც დათბობა მოჰყვება.

კლიმატური მონაცემებით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მარტში საქართველოში თებერვალთან შედარებით 2-5 გრადუსით მაღალია. ბარში იგი მერყეობს 4-დან 9 გრადუსამდე. მთაში 1-დან 6 გრადუსამდე, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 0, მინუს 5 გრადუსის ფარგლებში, მაგრამ ცალკეულ წლებში იგი აღნიშნულ საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობისაგან მკვეთრად განსხვავდება. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ბარში აღწევს 24-33 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი კი დასავლეთ საქართველოს ბარში იკლებს მინუს 4 — მინუს 12 გრადუსამდე, ქართლის ვაკეს და კახეთში — მინუს 8 გრადუსიდან მინუს 21 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მერყეობს 90-დან 140-მმ-დე, გარდა სამხრეთ სანაპირო რაიონებისა, სადაც იგი შეადგენს 130-190 მმ-ს, აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად 20-დან 70-მმ-ს ფარგლებშია.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წლის მარტში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელია პლუს 7 — პლუს 8 გრადუსი, მთაში პლუს 2 — პლუს 5 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში მინუს 1 — მინუს 3 გრადუსი, რაც ჩრდილო მთიან

რაიონებში იქნება საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს, შედარებით ცივი მოსალოდნელი მეორე დეკადა, აღნიშნულ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დაბლობში 0 — მინუს 3, მთებში მინუს 4 — მინუს 9, ხოლო მაღალმთიან რაიონებში მინუს 11 — მინუს 16 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს, და მასზე ნაკლები. დასავლეთ საქართველოში ზამთრის განმავლობაში ცივი ამინდი იდგა, რაც გამოც სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ადრეული ვეგეტაცია მოსალოდნელი არ არის და ამიტომ პროგნოზით გვთვალისწინებენ ბული წყაინვები მათთვის საშიშს არ წარმოადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და მთიან რაიონებში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მოსალოდნელია 0 — პლუს 5 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში მინუს 2 — მინუს 3 გრადუსი, რაც 1-2 გრადუსით დაბალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. მეორე დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება, ღამით ბარში მინუს 2 — მინუს 7, მთებში მინუს 6 — მინუს 11, მაღალმთიან რაიონებში მინუს 13 — მინუს 18 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა კახეთში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი, დანარჩენ რაიონებში ნორმასთან ახლოს და მასზე ნაკლებია ნავარაუდები.

მოსალოდნელი ნალექები მარტში გაუმჯობესებს პირობებს საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ვეგეტაციისათვის.

მარტის თვის პროგნოზის გათვალისწინებით საქართველოს მდინარეებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. წყალდიდობის დაწყება ნავარაუდევია მარტის ბოლოს.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს უფროსის მოადგილე, ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

ბორის ლომიძე



გარდაცვალა 1939 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის ვეტერანი, პენსიონერი, ინტელიგენტი, ინჟინერ-ტექნიკოსი, ბ. ლომიძე.

იგი დაიბადა ქუთაისში 1910 წელს. 1932 წელს დაამთავრა თბილისის ენერგეტიკული ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტი. 1933 წელს იგი აირჩიეს რაიონჰესის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, ხოლო 1938 წელს დანიშნეს რაიონჰესის დირექტორად.

1941 წელს ბ. ლომიძე აირჩიეს ქუთაისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც 1951 წლამდე იმუშავა. შემდეგ გადაიყვანეს ახლადშექმნილ ქუთაისის ოლქის შრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1952 წლიდან იგი მუშაობდა ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ ტრუსტის მმართველის მოადგილედ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ, წლების მანძილზე იყო თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ბ. ლომიძე იყო საქართველოს კომპარტიის XIII, XIV და XVI ყრილობების დელეგატი, საქართველოს საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობის (1935 წ) დელეგატი, რესპუბლიკის მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

იგი სასარგებლო სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. გამოქვეყნებული აქვს ოცზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქმიანობაში როგორც მისი საბჭოსა და პრეზიდიუმის წევრი.

ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ბ. ლომიძე დაჯილდოებული იყო ორი ორდენითა და მრავალი მედლით, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სპეტაკი კომუნისტის, თავმდაბალი, ენერგიული, შრომისმოყვარე და პრინციპული მუშაკის ბ. ლომიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო; საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტი.

შეხვედრა 45 წლის შემდეგ

თერჯოლა. დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში ბატლერელთა წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთის პედაგოგი დ. ხულამანიძე, წინელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნე ნ. ახალაშვილი და სხვები. 15 დღის წინათ, წყალტუბოში რომ ისვენებდა, ბედმა დავითი თანაპოლკელს კვლავ შეახვედრა.

მკურნალობის დასრულების შემდეგ დავითმა ნამამარი ვოქაცი შინ მიიწვია. მეგობრობა კვლავ გრძელდება.

(საქინფორმი).

სპორტის ამბები

კალათბურთი

კონკრეტული ამოცანა

თბილისის „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ განმეორებით მატჩზე მოსულ გულშემატკივრებს, ბუნებრივია, წინა თამაშის შთაბეჭდილება გამოჰყვათ და მასპინძელთა მორიგი გამარჯვების იმედით შეავსეს ბავშვთა კალათბურთის სასახლის ტრიბუნა. მაგრამ, მოგეხსენებათ, „ჟალგირისის“ ზედიზედ ორჯერ დამარცხება ურთულესი ამოცანაა ნებისმიერი გუნდისთვის, მით უმეტეს, თბილისის „დინამოსათვის“, რომელსაც დღეს არ ულხინს... დაიწყო თამაში და ჩვენი ილუზია თვალსა და ხელს შუა გაქრა. ლიტველი კალათბურთელები პირველივე წუთებიდანვე საფუძვლიანად დაეუფლნენ ინიციატივას. იყო, მომენტი, როცა ისინი 15-20 ქულით იგებდნენ თამაშს, თუმცა ტაიმის მიწურულს, თბილისელთა ზუსტი შორეული ტყორცნების შედეგად ანგარიშის სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა.

მეორე ტაიმი კვლავ სტუმართა „აცეანით“ წარიმართა. დინამოელებმა ვერ შეძლეს სტუმართა სნაიპერის — კურტინაიტისის უვნებელყოფა, რომელმაც ამჯერად 29 ქულა შესძინა თავის გუნდს. მატჩის ბედი, ფაქტიურად, გადაწყვეტილი იყო და დინამოელთა მწვრთნელებმა მოედანზე მთლიანად ახალგაზრდული შემადგენლობა გამოიყვანეს. შენგელიამ ამ მატჩში 25 ქულა მოგროვა, თორთლაძემ — 20. საბოლოო ანგარიშია 102:81 სტუმართა სასარგებლოდ.

ახლა თბილისელ კალათბურთელებს გასვლითი მატჩები ელით მოსკოვსა და ლენინგრადში. გუნდის წინაშე რთული ამოცანა დგას: რვა საუკეთესოს შორის მოხვედრა. იმედი დავიტოვოთ, რომ დინამოელები თავს გაართმევენ სატურნირო სიძნელეებს.

უკეთესი იქნებოდა

ფეხბურთის მოყვარულები კითხულობენ: რატომ არ გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის თასზე ვილნიუსის „უალგირისისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი? ამ კითხვას დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა უკვე გასცა პასუხი პრესის ფურცლებზე: „უალგირისის“ ძირითადი შემადგენლობა ამჟამად მარეოკოშია და იქ ემზადება ჩემპიონატისთვის. ვილნიუსელებმა შემოგვთავაზეს გვეთამაშა იქაური სპორტინტერნატის გუნდთან. რა თქმა უნდა ეს ხელს არ გვაძლევდა არც სპორტული და არც ფინანსური თვალსაზრისით. ამიტომ უარი ვთქვით ვილნიუსში გამგზავრებაზე. თუ ფედერაციის თასის პრესტიჟის ამაღლებაზეა ლაპარაკი, მაშინ კალენდარი ისე უნდა შევადგინოთ, რომ ყველა გუნდისთვის ხელსაყრელი იყოს“.

სხვათა შორის, ამ ტურნირს სახელი შეუცვალეს და ახლა ფეხბურთის კავშირის თასის გათამაშებად მოიხსენიება. მაგრამ, ეტყობა, სახელის შეცვლით საქმეს არ ეშველება. ტურნირი ეს-ეს არის დაიწყო და უკვე არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა. აი, რას წერს ხაკდისის მიმომხილველი ა. პესოვი: „ახლა, როცა ბევრი კლუბი სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, შემოთავაზებული კალენდრით საეჭვოა ფეხბურთის კავშირის თასის გა-

სატურნირო ორბიტა

● **ბადრაკი.** ლინარესის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ კვლავ ვასილ ივანჩუკი ლიდერობს — 5,5 ქულა. მორიგ ტურში ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი დაუზავდა ლიუბომირ ლიუბოევიჩს (იუგოსლავია). ლაიმ პორტიშმა (უნგრეთი) დაამარცხა იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია). დანარჩენი პარტიები გადაიდო. ანატოლი კარპოვს 5 ქულა აქვს, ლიუბოევიჩს — 4,5, იუსუპოვს — 3,5 (ერთი გადადებული პარტია), პორტიშს — 3,5.

● **კალათბურთი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში მოსკოვის არმიელებმა დაამარცხეს კიევის „სტროიტელი“ — 102:87 (57:51).

ტელევიზია—ხუთშაბათი, 2 მარტი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.50— მასწავლებლის საათი — საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 14.20 — ათლეტიზმი. 16.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფანჯარა“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.25 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 16.55 — კამერული მუსიკის კონცერტი (განმეორებით). 17.25 — აბიტურიენტთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.55 — მო